

ვთამაშობთ „გამზრდელს“

ბასა ჯანიკაშვილი

პიესა ერთ მოქმედებად

თბილისი 2022

მოქმედი პირნი:

ბათუ

ნაზიბროლა - ბათუს ცოლი

საფარ ბეგი - ბათუს ძუძუმტე

ალმასხიტი

ზია გოგო - ალმასხიტის საცოლე

ბაღმარან მართა - ზია გოგოს დედა

ჰაჯი უსუფი - გამზრდელი

ცხენი

პროლოგი

ცხენი, ჰაჯი უსუფი

სცენაზე მშენებარე ეკლესიის მაკეტი დგას. მუშაობს ხალხი, ფუსფუსებს. დიდი სამრეკლო ზარი შემოაქვთ და იქვე, სცენის ბოლოს, სამრეკლოსთან დგამენ.

შემორბის ცხენი.

ცხენი

ერთ კაცს ვეძებ... წერილი მაქვს მისთვის... ცხელი წერილი. ამ წერილში რა წერია არ ვიცი, მაგრამ მითხრეს, რომ აქ უნდა ჩამომეტანა და კაცისთვის გადამეცა. ეს კაცი ცნობილია თურმე, თავისი ცოდნით და განსწავლულობით. არაფერი აბადია, სახელი აქვსო მხოლოდ. მაგრამ ისეთი სახელი, წარმოთქმის დროს ფეხზე დგება თურმე მთქმელი. წარმოიდგინეთ, იტყვი სახელს და ფეხზე დგები. ასე იმიტომ ხდება, რომ პატივს ცემს თურმე ხალხი ძალიან. სიმართლის მთქმელი კაცია, ბრძენი და ჭკვიანი. ბევრი მისი გამოზრდილია, მაგრამ უფრო მეტი თავად უსწავლია თურმე, მათგან.

გააჩენს ქალი შვილს, გაზრდის ცოტა ხანს, ისე, რომ ცხვირის მოხოცვა თვითონ იცოდეს და მიჰყავს თურმე, ამ კაცთან აღსაზრდელად. შეხედავს ეს კაცი ამ ბავშვს და დამითოვებით ეტყვის. არც ფული უნდა, არც თანამდებობა და არც თანაგრძნობა, არც შეცოდება, არც გავლენა და არც სახელი, არც სიყვარული უნდა, არც პატივისცემა და არც გამორჩენა. უცნაური კაცი ყოფილა. ვისაც კი, ამ ქვეყნად სიტყვა ეთქმის, ხმალი ერჩის და გული უძგერს, მისი გაზრდილი ყოფილა ყველა. ვინც კაცია ამ სოფლად მაგის გაზრდილია, მაგის დაკვალული და ჯვარკვეთილი.

ეს კაცი ამბობს, რომ თვითონაა მოსწავლე, მაგრამ არავის სჯერა. დაუჯერებელი კია, ამდენი შრომა და ჯაფა ჩადო ადამიანების აღზრდაში და არაფერი გინდოდეს სანაცვლოდ. მისი სახელი ამ ქვეყანას გასცდენია, შორს წასულა. სხვა ქვეყნებშიც განთქმული ყოფილა, მაგრამ უცხო ტომის ბავშვებს უარს ეუბნება, ამბობს, რომ ადამიანებს ისედაც სძულთ ერთმანეთით. მაგრამ, როგორც ყველგან, აქაც ყოფილა გამონაკლისი. ეს *გამონაკლისი*, ამ წერილის დამწერია, გადმოსაცემად რომ მომაქვს. ეს *გამონაკლისი* კაციც ასე, მიუყვანიათ იმ ასაკში, თვითონ ცხვირის მოხოცვა რომ ახალი ნასწავლი ჰქონდა და დაუტოვებიათ გასაზრდელად. ერთად ერთი უცხო ტომის ბავშვი ყოფილა. მანამდეც და მის შემდგომაც. გაზრდილა ეს ბავშვი, წაუყვანიათ სხვა ქვეყანაში, დიდი ქვეყანაში და დიდ კაცი გამოსულა: დიდი *გამონაკლისი* კაცი. იმხელა „დიდი კაცი“, მისი სახელი ხსენებაზე ზოგი შიშისგან ფეხზე დგება და ზოგიც ზიზღისგან იფურთხება. აი ასე... მაგრამ გინდა ფეხზე ადგე, გინდა ეშმაკს მიაფურთხო, დიდი ძალა აქვს და მე ეჭვი მდრღნის, ვინც იგულისხმება ამ „დიდ კაცში“. მაგრამ, ვერ ვიტყვი. იმიტომ, რომ ან შიშისგან უნდა ავდგე, ან კი, ბოდიში და მივაფურთხო. არც ერთის გაკეთება მინდა და არც მეორის.

ეს წერილი, რომელიც უნაგირში მაქვს გადამალული, ჩემს მხედარს მისცეს. მე მომყავდა, აი, ამ ზურგით. გზად ესროლეს და მომიკლეს. უკვე სული ელეოდა, წერილი გულის ჯიბიდან ამოიღო და მე გადმომცა. ასე მითხრა, რომ აქ ჩამომეტანა. როდესაც ვკითხე, როგორ ვიცნო-თქო, გაიცინა, თვითონ გიცნობსო და მიიღია. ასე, სიცილში. მაგრამ მიხვდი, რომ ამ წერილს შეეწირა. აბა, ისე, ტყუილად რატომ მოკლავდნენ?

ახლა, როდესაც ჩამოვადწიე და ამ კაცს ვეძებ, რომლის არც სახელი ვიცი, არც აღწერილობა და არც საცხოვრებელი ადგილი, გული ხელით მიჭირავს. მეც არ მომკლან. სულ ტყე-ტყე გადმოვედი კავკასიონს, სულ ღრე-ღრე მივყვებოდი აღმართს. მდინარის სათავეს ვეძებდი. იქ, იმ სიმაღლეზე, ქედის თავში იქნებოდა გადასასვლელი და ასეც მოხდა. მაგდენი ვიცი, ცხენი ვარ, ბოლოს და ბოლოს. ახლა რა ვქნა? რომელ წყალს მივლიო? იქნებ, საჩქაროა? მაგრამ, რომელი წერილი არ არის საჩქარო? *(წერილს ამოიღებს, დახედავს)*. წავიკითხო? იქნებ, მივაგნო იმ კაცს, ამოვიცნო, იქნებ..? აბა, მართლა თვითონ ხომ არ მიპოვის? *(კონვერტს დიდხანს უყურებს, ვერ გადაუწყვეტია, გახსნას, თუ არა. ბოლოს, წერილს კონვერტიდან ამოიღებს)*.

(სცენის სიბრძნედიან ხალხს ერთი მოხუცი კაცი გამოეყოფა და ცხენისკენ მოდის).

ცხენი

(კითხულობს). „გამზრდელი, ვიცი, ცოდნას გაურბიხარ და გპოულობს, სიბრძნეს ემალები და მოგდევს, გონიერებას ასწრებ და ყოველთვის გეწევა. გწერ: იქნება ომი“. სულ ეს არის? *(ხელახლა კითხულობს)*.

ჰაჯი უსუფი

(თავზე წამოადგება). ესე ცოდნა დიდი ჭკუით მოიხმარების, სიბრძნე არს მშობელი და გამსინჯველი, ხოლო გონიერება სიცოცხლეს გიხანგრძლივებსო, ნათქვამია.

(ცხენი შიშისგან დაიჭიხვინებს. წერილი უვარდება. ჰაჯი უსუფი ცხენს უყურებს. ცხენი წერილს იღებს და ჰაჯი უსუფს აწვდის. ჰაჯი უსუფი წერილს თვალს გადაავლებს, ჯიბეში ინახავს. უკან, სცენის ბოლოს ხალხი სამრეკლოს ზარს დასტრიალებს).

პირველი სურათი

ჰაჯი უსუფი, ცხენი, ალმასხიტი, ბადმარან-მართა, ზია გოგო

ჰაჯი უსუფი მშენებარე ეკლესიის წინ დობეს ამაგრებს. უკან, ფონზე ეკლესია შენდება. მის გვერდით ცხენი ლუდს სვამს და მჟავე კიტრის პიკულს ეთამამება.

ჰაჯი უსუფი

რას ფიქრობ, მოვასწრებთ?

(ცხენი არ უპასუხებს).

ჰაჯი უსუფი

შენ გეკითხები, მცირედ მორწმუნევ. თუ მართლა ომი დაიწყო, მერე თქვი შენ... ვის ეცლება ეკლესიისთვის? ომში წავა ყველა...

(შემოდის ალმასხიტი. ცხენი ლუდსა და პიკულს თავს ანებებს, სწრაფად დგება და ვითომც არაფერი, მომავალში იყურება. ალმასხიტი ჰაჯი უსუფთან მიდის, მხარზე კოცნის და გადაეხვევა).

ჰაჯი უსუფი

„ყოველგვარი ლოცვით და ვედრებით ილოცეთ ყოველ ჟამს და ამაზე იფხიზლეთ მთელი დაჟინებით და ლოცვით ყველა წმინდასთვის.“

ალმასხიტი

(მოწიწებით). გამზრდელი...

ჰაჯი უსუფი

ყველა კაცი შეიძლება მარადისობას ჩასწვდეს, მაგრამ დმერთის გარეშე მარტოა.

ალმასხიტი

(ჯიბიდან კონვერტს იღებს, ჰაჯი უსუფს აწვდის). ეს მაისის თვის.

ჰაჯი უსუფი

(კონვერტს ჩამოართმევს, ინახავს). გიორგობას მინდა მოვასწროთ.

ალმასხიტი

სათხოვარი მაქვს შენთან, გამზრდელი... იცი, რომ ზია გოგოს მშობლებმა ქალი გამომატანეს, დამლოცეს და მალე ქორწილსაც გადავიხდით...

ჰაჯი უსუფი

ცოლის მოყვანა არასდროს არის გვიან. ჭაპანში კაცი სხვანაირია და ქალიც სხვანაირი. მოლოცვით კი, სამი შვილი რომ გეყოლება, მაშინ მოგილოცავ.

ალმასხიტი

სათხოვარი მაქვს შენთან, გამზრდელი. ჩემი საცოლის დედა უმუშევარია, ვერ შოულობს სამსახურს. იქნებ, დამხმარე გჭირდება, დაასუფთავებს, დავალებებს შეგისრულებს, გვერდში ამოგიდგება ყველანაირად, მორწმუნე ქალია, ღმერთის სიტყვის სჯერა და მშრომელია... იქნებ, მეხვდე და შენი აზრი გეთქვა... დამავალებ ძალიან...

ჰაჯი უსუფი

ბევრ კითხვას სვამს?

(ალმასხიტი არ უპასუხებს).

ჰაჯი უსუფი

(ფიქრის შემდეგ). საქმის მეტი რა არის...

ალმასხიტი

მაგის ხარჯს ჩემ თავზე ვიღებ. ფული ეკლესიას არ მოაკლდება.

(ალმასხიტი ბაღმარან მართას ხელით ანიშნებს, რომ შემოვიდეს. შემოდის ბაღმარან მართა. მას ზია გოგო მოჰყვება. ჰაჯი უსუფის წინ მოკრძალებით დგებიან).

ჰაჯი უსუფი

(ბაღმარან მართას). გიცნობ... შენ ქალიშვილსაც ვიცნობ...

ალმასხიტი

(აცნობს). ეს ზია გოგო, ჩემი საცოლე...

ზია გოგო

(მოკრძალებით თავს დაუკრავს და ხელზე კოცნის). ჩვენი გამზრდელი ხარ... ჩემი შვილის მომავალი მასწავლებელი...

ალმასხიტი

(აცნობს). ეს კი, ბამან მართა...

ბაღმარან მართა

(შეუსწორებს). ბაღმარან მართა...

ჰაჯი უსუფ

კარგი სიძე შეგირჩევია... ეკლესიის მშენებელი... ეშმაკებთან მებრძოლი... ჩემი გაზრდილია...

ბაღმარან მართა

ღმერთმა გადმოგვხედა...

ჰაჯი უსუფი

საქმე ბევრია...

ბაღმარან მართა

საქმეს სიზარმაცე უყვარს, მე კიდევ სიზარმაცე არ მიყვარს.

ალმასხიტი

მადლობელი ვარ, გამზრდელი...

ჰაჯი უსუფი

(ბაღმარან მართას). შენი თავის პატრონი შენ იქნები... არავის უფროსი არ ვყოფილვარ.

(ბაღმარან მართა ეკლესიაში შედის. ზია გოგო მას მიჰყვება. ჰაჯი უსუფი და ალმასხიტი ერთ ხანს ჩუმად დგანან. ცხენი ღობის გასწვრივ, უმისამართოდ დადის).

ალმასხიტი

(ბოლოს გადაწყვიტა სათქმელი). ამბობს ხალხი... ცუდის მოლოდინია...

ჰაჯი უსუფი

(ღობის გამაგრებას მიუბრუნდება). როდის იყო ჩვენთან მშვილობა?

ალმასხიტი

ისე იმუქრებიან, არ აგვცდება მგონი.

ჰაჯი უსუფი

(უხეშად აწყვეტინებს). კარგი.

(ცხენი შემთხვევით მშენებარე ღობეს დაეჯახება, ღობის ფიცრები ჩამოცვივდება).

ალმასხიტი

(პაუზის შემდეგ). ამბობენ, ცხოველები ჩვენზე მეტად გრძნობენ უბედურებასო. (ცხენზე მიუთითებს). რას ამბობს?

(ჰაჯი უსუფი არ უპასუხებს. შეშინებული ცხენი მომავალში იყურება).

ალმასხიტი

(ჰაჯი უსუფს). შენ არაფერი გსმენია?

ჰაჯი უსუფი

(ჩამოგდებულ ფიცრებს ალაგებს). გიორგობამდე რაღა დარჩა? პირველი ზარი მინდა გიორგობას ჩამოვკრათ. აგე, სამრეკლო უკვე დამთავრდა.

ალმასხიტი

ომი თუ დაიწყო, წმინდა გიორგი ვერ გვიშველის. ვერ ხედავ, აღარავის აღარ ინდობს შენი „დიდი კაცი“!

(ჰაჯი უსუფი ალმასხიტს მკაცრად გახედავს).

ალმასხიტი

არ მიწყინო... მითხარი, თუ რამე იცი. გითხრა რამე, არ გაგაფრთხილა? შენი გაზრდილია „დიდი კაცი“.

ჰაჯი უსუფი

დიდ კაცობას ყველა პატარაობიდან იწყებს.

ალმასხიტი

თუ ომი დაიწყება, ბიზნესი ჩაწვება. გავკოტრდები. მინდა ვიცოდე, წინასწარ, თუ შემოვლენ... გავყიდდი მთელს ბიზნესს, მოვიცილებდი, გადავარჩენდი ფულს, თორემ, ფულიც აღარ დამრჩება და... ფულს არ დავკარგავ... ფულის დარდი მაქვს, მარტო! სიტყვას გაძლევ, ჩუმად ვიქნები, სულ გავეცლები ამ ქვეყანას!

ჰაჯი უსუფი

შენც იცნობ „დიდ კაცს“ და კითხე. ერთად გაიზარდეთ.

ალმასხიტი

მე ვინ რას მეტყვის. ამხელა ქვეყანა აბარია.

ჰაჯი უსუფი

შენი ომი ახლა ოჯახის შექმნაა. შვილების გაზრდა, მამულიშვილების გაზრდა, წესიერი და მორწმუნე ადამიანების გაზრდა. თუ ომი დაიწყო, გავიგებთ, არ გამოგვეპარება...

ალმასხიტი

ვიცი, რომ ეთქვა რამე, იტყვი ხმამაღლა, გაგვაფრთხილებ ყველას, მაგრამ ერთი დღე მაჩუქე... ერთი დღით ადრე მითხარი... მეტი არაფერი მინდა.

(ალმასხიტი ჰაჯი უსუფს გადაუხვევა. გადის. ჰაჯი უსუფი დიდხანს უყურებს მის კვალს. უკან, მშენებარე ეკლესიის ფონზე ბაღმარან-მართა და ზია გოგო ფუსფუსებენ. ეკლესიაში შედიან, გამოდიან, სხვადასხვა საგანი გამოაქვთ და შეაქვთ. ცალი თვალი აქეთ უჭირავთ. ჰაჯი უსუფი და ცხენი მათ აკვირდებიან).

ჰაჯი უსუფი

ხედავ? უნდა, რომ იცოდეს... ყველა ასეა, მდიდარიც და ღარიბიც... წინასწარ უნდათ გაიგონ, რა ელით... *(ცხენს)*. რას მიყურებ? რაში მჭირდება ეს ცოდნა, თუ გამტანჯავს? ჯობდა არ ეთქვა... *(ღობის გამაგრებას განაგრძობს)*. ჰო, ჰო, დავრეკავ ზარს და ვიტყვი, გავაფრთხილებ ხალხს, მზად დაუხვდნენ გასაჭირს... ვიღაცა ბიზნესს გადაარჩენს, ვიღაცა შვილებს განიზნავს, ვიღაცა წამალს მოიმარაგებს, ვიღაცა საჭმელს დააგროვებს, ვიღაცა ტყვიებს... აბა, თუ არ გავაფრთხილე ეს ხალხი, რატომ შემომითვალა, რას მერჩოდა? აქ გაიზარდა, აქ აიდგა ფეხი, აქ დავაჟკაცდა, აქ მოინათლა, აქ ჰყავს მეგობრები... გამაფრთხილა, რომ მეც სხვა გავაფრთხილო... ასეა... კი, ასეა... ხალხს მოვუწო, ომი იწყება, მოემზადონ და ლოცვა გააძლიერონ... აბა, მარტო ჩემი გადარჩენა ხომ არ უნდოდა?!

(ცხენი ლუდის ახალ ბოთლს ხსნის. ჰაჯი უსუფი ღობის გამაგრებას განაგრძობს. სამრეკლოზე ზარის აზიდვას იწყებენ).

მეორე სურათი

საფარ ბეგი, ბათუ, ნაზიბროლა

ღამეა.

ბათუს მდიდრულად მოწყობილი სახლის მისაღები ოთახი. შინ აღწევს ჭექა-ქუხილის და ქარბუქის ხმა. ოთახში არავინაა. ოჯახის წევრებს, ბათუს და ნაზიბროლას სძინავთ. ჩვენ მათ ვერ ვხედავთ. კარზე გადაბმულად ვიდაც ზარს რეკავს. დიდხანს რეკავს. სახელდახელოდ მოცმული ხალათით, გამოდის ნამძინარევი ბათუ. სცენის შუაგულში დგება. მისაღებ კარს უყურებს. კარზე ზარის ხმა წყდება. ბათუ ოთახიდან გადის. სიჩუმეა. შემდეგ, კარზე კვლავ გაბმული ზარის ხმა ისმის. ერთ ხანს სცენა ცარიელია. მალე ბათუ მისაღებ ოთახში სწრაფი ნაბიჯით ბრუნდება, ხელში იარაღი უჭირავს. კარზე გაბმული ზარი არ წყდება. კართან მიდის.

ბათუ

ვინ ხარ!

(ზარი მეორდება. ბათუ კართან დაყენებულ ვიდეო სათვალთვალ მოწყობილობის ეკრანს უყურებს. იქ, წვიმაში, უცხო მამაკაცი დგას. ლაბადა აცვია, თავზე კაპიუშონი აქვს დაფარებული).

ბათუ

ხმა ამოიღე!

უცხო მამაკაცის ხმა მონიტორიდან

შენი ძმა და მეგობარი!

(ბათუ მონიტორს აკვირდება. უცხო მამაკაცის სახე არ ჩანს).

ბათუ

სახე დამანახე!

უცხო მამაკაცის ხმა მონიტორიდან

ასე იცის ფულმა შეშინება, ბათუნა?

ბათუ

(გულმოსული სწრაფად ადებს კარს. უცხო მამაკაცს პისტოლეტს მიუშვერს). თუ ხუმრობ, ვერ ყოფილხარ კარგი ხუმარა!

(უცხო მამაკაცი პისტოლეტ მომარჯვებული ბათუს დანახვაზე ხმამაღლა გაიცინებს).

ბათუ

ჩემი ფული გინდა?!

უცხო მამაკაცი

აღრე ჩემს ხუმრობებზე გეცინებოდა.

ბათუ

(პისტოლუტს გულისხმობს). ახლა, ეს გააცინე!

უცხო მამაკაცი

შენი კარის ხუმარა ვარ, ვერ მიცანი?

ბათუ

(უცხო მამაკაცში ბავშვობის მეგობარს ამოიცნობს. სხვა ინტონაციით). საფარ, ძმაო! შემოდი, შემოდი... *(საფარ ბეგს გადაეხვევა).* არ იშლი, ხო შენსას!

საფარ ბეგი

(შინ შემოდის). არ გამოცვლილხარ.

ბათუ

როგორ გამახარე, რომ იცოდე, მოდი, მოდი... *(ლაბადის გახდაში ეხმარება).*

საფარ ბეგი

როგორ ვერ მიცანი?

ბათუ

როდის გნახე ბოლოს?

საფარ ბეგი

(სველ ტანსაცმელს იძრობს). ბოდიში მინდა მოგიხადო, ჩემო ძმაო. ავად გავხდი ძალიან და შენ კი იცი, შენი სიხარული, ჩემი სიხარულია. შენ ჩემი ძმა ხარ და შენი ცოლი კიდევ ჩემი და.

ბათუ

მეჯვარე მინდოდა ყოფილიყავი. მაგრამ, რად გინდა!

საფარ ბეგი

რა მნიშვნელობა აქვს, პირადად მოგილოცავ გაბედნიერებას, თუ ჩემთვის ვიწვები, ავადმყოფი და გულში გამიხარდება შენი სიხარული?

(ბათუ საფარ ბეგს კიდევ ერთხელ გადაეხვევა. ოთახში შემოდის ნაზიბროლა. ბათუ და საფარ ბეგი მას ვერ ამჩნევენ. საფარ ბეგი სველი ტანსაცმლის გახდას განაგრძობს).

ბათუ

დაჯექი, დაგალევიანებ რამეს. ყავა? ჩაი?

საფარ ბეგი

ყავის კაცი ვარ მე? შემომხედე, სულ გავილუმპე.

ბათუ

(თავის შეთავაზებაზე ეცინება). მე ვიცი, შენ რა მოგიხდება.

(სასმლის მოსატანად ოთახის სიღრმეში მიდის, სადაც ღია ტიპის საშზარულოა. საშზარულოს ერთი უჯრა, სადაც სასმელი ინახება დაკეტილია. ბათუ კარადის უჯრაზე კოდს აკრეფს. კარადა იხსნება. ბათუ დამალულ სასმელს გამოიღებს. ნაზიბროლა წელი ნაბიჯით საფარ ბეგს უახლოვდება. საფარ ბეგი ქალის დანახვაზე ჩერდება. საფარ ბეგი და ნაზიბროლა ერთმანეთს უყურებენ. ამასობაში, ბოთლით და ორი ჭიქით ხელში მისაღებ ოთახში ბათუ ბრუნდება. სამივენი დგანან).

ბათუ

(ბოთლს ხსნის. ერთ ჭიქას სტუმარს დაუდგამს, მეორეს თავისთვის იდგამს. ნაზიბროლას მიმართავს). როდის გამოხვედი? ვერ შეგამჩნიე... (საფარ ბეგს). ეს ჩემი ცოლია, ნაზიბროლა. შინაურებისთვის ბროლა... ეს ჩემი ძუძუმტეა, ჩემი ძმა, საფარი. შინაურებისთვის საფო. (სასმელს ჩამოასხამს). დავლიოთ?

(საფარ ბეგი ნაზიბროლას უყურებს, ნაზიბროლა საფარ ბეგს. ერთმანეთს თითქოს პირველად ხედავენ. თუმცა, პირველად ნახვისას ასე უხერხულად ერთმანეთს არ აკვირდებიან ხოლმე).

ბათუ

(საფარ ბეგს). ბავშვის ნათლობაზე მაინც ნუ მეტყვი უარს.

ნაზიბროლა

(საფარ ბეგს უყურებს, მაგრამ ბათუს მიმართავს) ნუ ჩქარობ. (ბათუს ჭიქას იღებს და ჰაერში წევს).

(ბათუ ნაზიბროლას აღებულ ჭიქას ხელს გაატანს, უხერხულად იშვერს ხელს, წინ და უკან. ჭიქის გამორთმევა უნდა, მაგრამ ვერ ართმევს. ბათუ ჭიქის გარეშე რჩება).

საფარ ბეგი

(ნაზიბროლას მიბაძავს, ისიც ჭიქას იღებს და ნაზიბროლას მიუჭახუნებს). გილოცავ, გაბედნიერებას.

ნაზიბროლა

(საფარ ბეგს). დაგვიანებული მოლოცვაა.

საფარ ბეგი

(ნაზიბროლას). უორწილის ამბავი ამერიკაში გავიგე.

ბათუ

(საფარ ბეგს). და მაგიტომ ჩამოხვედი?

ნაზიბროლა

(ბათუს). ვერ მოგვისწრო.

ბათუ

გაგვიმარჯოს! (ჭიქის ნაცვლად ბოთლს შეუშვერს).

(ბოთლს და ჭიქებს მიუჭახუნებენ. სვამენ).

ბათუ

მოიცა, რამეს მოგიტან, ასე ნახევად შიშველი ხომ არ იქნები... (გადის).

(საფარ ბეგი და ნაზიბროლა კლავ მარტონი რჩებიან).

საფარ ბეგი

სულ ასე იყო, მე ნახევრად შიშველი ვიყავი, ის ჩაცმული.

ნაზიბროლა

ვინ ვის ასწრებდა?

საფარ ბეგი

ვხედავ, უკვე ნათლობისთვის ემზადებით...

ნაზიბროლა

ვიდაცა სულ ჩქარობს, ვიდაცა სულ აგვიანებს.

(შემოდის ბათუ. საფარ ბეგისათვისთვის ტანსაცმელი მოაქვს).

ბათუ

(ნაზიბროლას) ბროლა, წარმოიდგინე, რამდენი წელია არ მინახავს! (პასუხს არ ელოდება). წასული იყო. სად იყავი? (პასუხს არ ელოდება. ჩაცმაში ეხმარება). ამერიკაში იყო. იქ, იცი, რას აკეთებდა? მძლოლი იყო, დიდი ტრაილერების მძლოლი. შენი ამბავი უნდა მოვუყვე, ინკასატორის მანქანასთან ერთად რომ გაგიტაცეს. (საფარ ბეგს, საყვედურით). შენ კი არ გითქვამს... გამზრდელმა მომიყვა. (ნაზიბროლას). თვითონ აბა, რას მეტყოდა? (ბათუს ჩაცმაში დახმარებას მორჩება. სასმელს ჭიქებში ასხამს). მე და ბათუს ერთი ძუძუ გვიწოვია. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ნაზიბროლა

(კვლავ ქმრის ჭიქას იღებს). ერთ ძუძუს ორი წოვდით?

საფარ ბეგი

(ციტატას თეატრალურად ამბობს. ნაზიბროლას მიმართავს). „შენი ტყვე ვარ! ჰა, ხომ ხედავ, იარაღი დამიყრია... სასიკვდილოდ ჩემი ნებით შენ წინ თავი დამიხრია...“

ბათუ

(საფარ ბეგს. სიცილით). და ეს გახსოვს? (ციტატას თეატრალურად ამბობს). „ყოველგვარი მოსავალი კაცის თავზე უნებური, ღვთის რისხვაა ტყვილად ბედს რას უჩივი, რით ემდური?“

საფარ ბეგი

(თამაშში აჰყვება, ბათუს მიმართავს). „არა! შენ ვერ შეგეხება სასიკვდილოდ ჩემი ტყვია: დედაჩემის გაზრდილი ხარ, მისი ძუძუ გიწოვია...“

(ორივენი იცინიან).

ნაზიბროლა

(საფარ ბეგს). არ გითქვამს, ყველაფერს თეატრად რომ აქცევდი. (სულმოუთქმელად სვამს).

ბათუ

საფოსთან სახლში ჩვენი თეატრი გვქონდა. (ცარიელ ჭიქას უხეშად გამოართმევს). მე და საფოს დამები სპექტაკლებს ვთამაშობდით.

საფარ ბეგი

დედაჩემი რეჟისორობდა...

ბათუ

როლებში ვიყავით.

ნაზიბროლა

(საფარ ბეგს). ეს იყო, შენი როლი? ძუძუ შენი იყო და ბათუს უყოფდი.

(უხერხული სიჩუმე ჩამოვარდება. ბათუს სასმელის დასხმა უნდა, მაგრამ ბოთლი ცარიელია).

ბათუ

(საფარ ბეგს ჰასუნს არ აცლის). ბათუს სამი დედამიშვილი ჰყავს. მე მეოთხე შვილი ვიყავი. არ იყო ასე? არ იყო ასე?

საფარ ბეგი

ბათუ, მგონი, ჩვენზე მეტად უყვარდა...

(გარედან აღწევს ძლიერი ჭექა-ქუხილის ხმა. სახლში დენი გამოირთვება. სცენაზე სიბნელეა).

ნაზიბროლა

(ბათუს). სტუმარს ასე ხელცარიელი უნდა დახვდე?

(ბათუ ხელის ცეცებით საშხარულოში გადის. სანთელს ეძებს. მაგიდასთან საფარ ბეგი და ნაზიბროლა რჩებიან. ჩუმი არიან. ბათუ ნავთის ლამპარს ანთებს, კარადის უჯრაზე კოდს კრეფს, ადებს, სასმელს იღებს, ბოთლს ხსნის, კარადას კეტავს. საჭმელს სინაზე ალაგებს. ნახევრად სიბნელის გამო ყველაფერს ხმაურით აკეთებს.

მაგიდასთან ბრუნდება. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში ბათუ ვერ ამჩნევს, მაგრამ საფარ ბეგს და ნაზიბროლას ერთმანეთის ხელები უჭირავთ. როგორც კი, ბათუ სინას და ლამპარს მაგიდაზე დადგამს, ხელებს მალავენ).

საფარ ბეგი

(ბათუს მოქმედებას ყურადღებით აკვირდება). არ გინდა, საჭმელად არ ვარ მოსული.

ბათუ

(სასმელს ჭიქებში ასხამს). მოდი, ჩვენი მშობლების მოსაგონარი იყოს. (ჭიქის ასაღებად გაიწევს, მაგრამ ნაზიბროლას უკვე ხელში უჭირავს. კვლავ ჭიქის გარეშე რჩება). ხსოვნა იყოს, შენი მშობლების... ადრე წავიდნენ... მე შენი დედიკო და მამა მიყვარდა, იცი... ჩემებიც უდროოდ...

ნაზიბროლა

(უხეშად აწყვეტინებს). უთხარი, რა ლამაზი საქორწინო კაბა მქონდა...

(უხერხული სიჩუმეა).

საფარ ბეგი

(ბათუს). გიკვირს ალბათ, ამ ამინდში, ასე გვიან რომ მოვედი, მაგრამ ხომ იცი, გულში თუ ჭეჭა-
ქუხილია... *(პაუზის შემდეგ).* დახმარება მინდა და შენ თუ არა, ვინ დამეხმარება, ვის ვეტიყვი...
გულში რაც მაქვს, ის უნდა გითხრა... ჩვენს შორის დარჩება, ეს ამბავი.

ბათუ

ბროლას ჩემს თავზე მეტად ვენდობი. ბროლა... *(საკოცნელად გაიწევს).* ..

ნაზიბროლა

(ბათუს ხელით აჩერებს). ყველა მართალ კაცს გაუმარჯოს, ტრაკების დედაც! *(სვამს).*

(უხერხული პაუზა).

საფარ ბეგი

ესე იგი... *(სათქმელი ენაზე ადგას, მაგრამ არ ამბობს და სვამს).*

ბათუ

დამელოდე, ძმა. ამერიკაში გასწავლეს ჩუმად დალევა?

საფარ ბეგი

სიტყვას ახლა გეტიყვი და შენ თუ დამეხმარები მარტო.

ბათუ

ხვალამდე ვერ მოიციდის? დღეს დავისვენოთ, დავლიოთ ცოტა, პური გავტეხოთ.

საფარ ბეგი

დღეს დილამდე ეს საქმე თუ არ გამოვიდა, მერე აზრი არა აქვს.

ბათუ

გათენდა უკვე!

(საფარ ბეგს საუბრის დაწყება უჭირს).

ბათუ

აღარ იტიყვი?

საფარ ბეგი

წასასვლელად ფული მჭირდებოდა და გავყიდე ყველაფერი. (პაუზის შემდეგ). ისიც მივაყოლე.

ბათუ

ისიც?

საფარ ბეგი

ბილეთი ავიღე.

ბათუ

ახლა არ თქვა, რომ ვიღაცაა... (უნდოდა ეთქვა „მოსაკლავი“ მაგრამ არ ამბობს).

საფარ ბეგი

არა, სუფთა საქმეა... სისხლის გარეშე, მაგრამ ეგ მჭირდება.

ნაზიბროლა

(თითქოს სხვათა შორის, საუბარში უტაქტოდ ერთვება). იცი ვინ თხოვდება? (ბათუსთან მიდის და ზურგიდან ეხვევა). პანტაპუნტი თხოვდებიან ეს ქალები... სად აქვთ ჭკუა, ამ კაცებს... (საკუთარ ხუმრობაზე ძალით გაიცინებს).

(ნაზიბროლა ქმარს ეხუტება და კოცნის. ბათუს თავის დადწევა უნდა, მაგრამ ნაზიბროლა ვნებიან კოცნას არ იშლის. ბათუ მას დაჰყვება. მუდღეუბის მხურვალე კოცნის შემხედველი საფარ ბეგი დგება, ოთახში გაივლის).

საფარ ბეგი

იარაღი მათხოვე და დღესვე დაგიბრუნებ. საქმეზე ვარ წასასვლელი. არ დამჭირდება, მაგრამ მედოს, ხელს არ შემოშლის. ყოველი შემთხვევისთვის... თუ ვისვრი, ჩემ თავზე ვიღებ. (მაგიდასთან ბრუნდება).

(მუდღეუბი კოცნას არ ამთავრებენ. გაიწეა ეს კოცნის ეპიზოდი საფარ ბეგისთვის).

ბათუ

(ცოლის მკლავებიდან თავს გაითავისუფლებს). რად გინდა ძმა, იარაღი?

საფარ ბეგი

ჩემი საქმეა.

ბათუ

რატომ, მათქმევინებს ვინმე?!

საფარ ბეგი

ჯობია არ იცოდე.

ბათუ

ასე მიცნობ?

საფარ ბეგი

თუ არა და, წავალ მე.

(საფარ ბეგი ბათუს პასუხს ელოდება. ბათუ ჯიბიდან იარაღს ამოიღებს, დახედავს).

ნაზიბროლა

იარაღის და ცოლის თხოვება რომ არ შეიძლება?

(ბათუ იარაღს ისევ ჯიბეში ინახავს. საფარ ბეგი ადგილიდან მოწყდება და გასასვლელი კარისკენ მიდის).

ბათუ

(მეგობარს დაეწევა. ხელით აჩერებს). აბა, აბა... ეგეთები არ იყოს, ძმა. სად წავიდა, საფო, შენი იუმორის გრძნობა? შუა ღამით მოდიხარ, უშნოდ მეხუმრები, მე და ჩემს ცოლს გვადვიძებ, სადღეგრძელოებს არ ამბობ, გაბედნიერებას არ გვილოცავ, შვილის ნათლობაზე უარს მეუბნები და იარაღს მთხოვ. ესეც ამერიკაში გასწავლეს? (მაგიდასთან მიჰყავს და სკამზე ძალით სვამს). შენთან რომ ვინმე მოსულიყო და იარაღი ეთხოვა, მისცემდი?

საფარ ბეგი

შენ ჩემთვის „ვინმე“ არ ხარ.

ბათუ

ვინ ვარ, აბა? ორი წელია წასული ხარ, ერთხელ არ დაგირეკავს, არ მოგიწერია, მანამდე კიდეც, რა ჯანდაბა გეტაკა არ ვიცი, სკოლა რომ დავამთავრეთ, იმის მერე, სულ რამდენჯერმე გნახე. მემალეები, თუ რა არის? ჰა? აბა, შემომხედე? ჩემი მოკვლა გინდა?

საფარ ბეგი

ვერ მოგკლავ.

ბათუ

მომიყვი, ან გავწუროთ ეს ბოთლი. *(სასმლის ბოთლს იღებს, დასასხმელად გაიშვერს)*. ეს ამერიკა რას უშვება ხალხს...

საფარ ბეგი

ქალი მიყვარს.

ბათუ

ამას მიმალავდი? ბიჭო, შენისთანას თუ ქალი შეუყვარდებოდა, არ მეგონა.

საფარ ბეგი

ასეთი უიმედო ვარ?

ბათუ

უიმედო კი არა, ჭკვიანი ხარ!

ნაზიბროლა

(ქმარს ბოთლს ართმევს). ჭამოს რამე, დააცადე.

საფარ ბეგი

(ნაზიბროლას). აღმასხიტის საცოლე მიყვარს, ზია გოგო. დიდი ხანია ვეტრფით ერთმანეთს.

ნაზიბროლა

(საფარ ბეგს). მიჯნური ხარ?

ბათუ

(საფარ ბეგს). ეტრფით ერთმანეთს? აბა, მაშინ, აღმასხიტის საცოლე როგორ გახდა?

საფარ ბეგი

(ბათუს). დიდი ხანია, გვიყვარს ერთმანეთი. ჯერ კიდევ ჩემს წასვლამდე გვიყვარდა ერთმანეთი...

ბათუ

(ნაზიბროლას). ვინ არის, ზია გოგო?

ნაზიბროლა

ბათუ, რა გჭირს? ჩვენი დამლაგებლის შვილი.

ბათუ

ამხელაა უკვე? პატარა გოგო მახსოვს.

საფარ ბეგი

(ნაზიბროლას). ლამაზია ძალიან.

ნაზიბროლა

(ბათუს). ბავშვობაში უკეთესი იყო.

ბათუ

(საფარ ბეგს). ვინ უყვარს იმ გოგოს, ბოლოს და ბოლოს!

საფარ ბეგი

აღმასწავლებელი რომ გაიგო, ჩამოვედი, იფიქრა და ქორწილის დაჩქარება მოინდომა. ოჯახებმა მოილაპარაკეს და სასწრაფოდ დანიშნეს გოგო.

ბათუ

(ნაზიბროლას). ძალით ათხოვებენ?!

ნაზიბროლა

(ბათუს). რა გაიფიქრე?

საფარ ბეგი

(ბათუს). არა, არა... მოტაცება არ მინდა. საცინო საქმეა.

ნაზიბროლა

(საფარ ბეგს). ციხემ შეგაშინა?

ბათუ

(საფარ ბეგს). აბა, იარაღი რად გინდა?

ნაზიბროლა

(საფარ ბეგს). აბა, მიჯნურები ვართო?

საფარ ბეგი

(პაუზის შემდეგ). სხვა გეგმა მაქვს.

ბათუ

(საფარ ბეგს). დაგასწრო, იმ ტრაკმა?

ნაზიბროლა

რა სიტყვებია, ბათუ.

ბათუ

(საფარ ბეგს). მე ჩემი ანგარიშები მაქვს, მაგ კაცთან!

ნაზიბროლა

(ბათუს). ხომ დამთავრდა ეგ ამბავი, თავიდან იწყებ?

ბათუ

(საფარ ბეგს). ჰაჯი უსუფმა შეგვარიგა, თორემ მოვკლავდი, მაგ ახვარს.

ნაზიბროლა

ბათუ, არ დაიწყო ახლა!

საფარ ბეგი

(ბათუს). ახალი ექვსი უდგას სახლთან. ცენტრიდან გამოიყვანა. ერთი ნაკაწრი არა აქვს.

ბათუ

(ნაზიბროლას). ჩემი მაცუთით აქვს ნაყიდი!

საფარ ბეგი

წამოყვანა მინდა.

ბათუ

(საფარ ბეგს). ჩემი წილი წაიღო!

საფარ ბეგი

მაგის წამოყვანა მინდა.

ბათუ

(საფარ ბეგს). შეგვარიგეს, რომ მერე დავლაგდებოდით... აქამდე უნდა მოეცა მოსაცემი და არ იძლევა!

საფარ ბეგი

(ხმამაღლა). უნდა წამოვიყვანო ეგ მანქანა!

ბათუ

(სხვა ინტონაციით. არ მოელოდა). შენ?

საფარ ბეგი

უნდა გავამწარო. იცოდა, ზია გოგო ჩემი მიჯნური რომ იყო, ერთმანეთი რომ გვიყვარდა და მაინც არ მოეშვა. რა, გაგიკვირდა? იარაღიც იმიტომ მინდა. თუ მესვრის, ვესვრი. მაგრამ, მაგისთვის არ მივდივარ. მარტო მანქანას წამოვიყვან.

ბათუ

მოიცა, ქალს უტოვებ?

საფარ ბეგი

მაგის მანქანა სულ არ მაინტერესებს. ჩავძირავ. ჯერ ვიფიქრე დავწვავ-თქო. უკანა საბურავს ბენზინს მივასხამ და ეგ არის-თქო, მაგრამ, მერე... ზია გოგო სახლშია, მანქანა კიდევ სახლთან დგას და საშიშია, რამე არ დაუშავდეს...

(ბათუ სასმისს ჭიქებში ასხამს. საფარ ბეგი ჭიქას იღებს. ბათუ თითქოს ელოდება, რომ ნაზიბროლამ ჭიქა აიღოს).

ნაზიბროლა

(მუდლის ჭიქას იღებს. ბათუს). ასე თუ უყვარდა, ამერიკაში რატომ წავიდა?

ბათუ

(ნაზიბროლას, გაღიზიანებული). აღარ დალიო.

ნაზიბროლა

(ბათუს). ყველაფერი რომ გაყიდა და ბილეთი იყიდა, მაგ ფულით ცოლი მოეყვანა!

საფარ ბეგი

(ნაზიბროლას). ქორწილის ფული კი არა, საჭმლის ფული აღარ მქონდა.

ნაზიბროლა

(ბათუს). ფული უნდოდა იმ ქალს? (საფარ ბეგზე მიუთითებს). კითხე, ერთი?

საფარ ბეგი

(ნაზიბროლას). უფულო კაცი არავის უნდა!

ნაზიბროლა

(საფარ ბეგს). და გითხრა, ამერიკაში წადიო, ფული დააგროვეო, მერე ჩამოდიო და გამოგყვებო?!

საფარ ბეგი

(ნაზიბროლას). ამიტომ, უნდა გათხოვილიყო?

ბათუ

(ნაზიბროლასთვის ჭიქის გამორთმევა უნდა). რა თაობაა, ვერ გაიგებ. სულ გადაჯიშდნენ.

ნაზიბროლა

(ჭიქას არ უბრუნებს. იცინის. ბათუს). შეიძლება, საქმროს გამწარება უნდა?

ბათუ

(ნაზიბროლას). და მანქანის მოპარვით გაამწარებს?

საფარ ბეგი

(ნაზიბროლას). აბა, რატომ მთხოვა?

ბათუ

მოიცა, „გთხოვა“, რას ნიშნავს?! ჩემი საქმროს მანქანას თუ მოიპარავ, დავიჯერებ, რომ გიყვარვარო?

საფარ ბეგი

მშობლები ძალით ათხოვებენ.

ბათუ

და გადაიდება? თუ რა მოხდება?

ნაზიბროლა

(ბათუს). სიყვარული უნდა დაუმტკიცოს. მიჯნურია!

ბათუ

(*ხმაძალა გაცინებს*) შენ მაგ მანქანის მომპარავი არ ხარ, საფო. ისევ სჯობს ცეცხლი წაუკიდო. შენი მაქსიმუმი, მაგ მანქანით ერთი წრის დარტყმაა მერიასთან და მერე ან გაასწრებ პოლიციას, ან ვერა.

ნაზიბროლა

(*ჭიქას ჰაერში ასწევს*). ყველა ქალი ბოზია, მაპატიე დედა!

ბათუ

(*საფარ ბეგს*). აი, ხედავ? (*ნაზიბროლასთვის ჭიქის გამორთმევა უნდა*).

საფარ ბეგი

(*ბათუს*). მსროლელი თუ მაინც არ ვარ, სუფთა მივალ. (*დგება*).

(*ცოლ-ქმარი საფარ ბეგს ჩუმად უყურებს. საფარ ბეგი კარისკენ მიდის, კარს აღებს და გადის. გარედან შემოიჭრება ჭექა-ქუხილის ხმა. ელვა ოთახს წამიერად ანათებს და ოთახი ისევ ნავთის ლაძურის იმედად რჩება*).

ბათუ

მარტო ამის გაშვება არ შეიძლება.

ნაზიბროლა

დავწვეთ. შუქი დილამდე არ მოვა. (*სვამს*).

ბათუ

შარს გადაეყრება.

ნაზიბროლა

მისი არჩევანია. (*დგება. ოთახიდან გასვლას აპირებს*).

ბათუ

(*შემოსასვლელი კარისკენ მიდის*). მოკლავს ამ უბედურს.

ნაზიბროლა

(*ხმაძალა, რომელიც ყვირილს უფრო ჰგავს*). მოკლავენ და მოკლან!

ბათუ

(ნაზიბროლას ასეთ რეაქციას არ მოელოდა). რატომ უნდა მოკლან?

ნაზიბროლა

იცოდე, წახვალ და არ ვიცი რას ვიზამ!

(ბათუ კარს ადებს. ძლიერი წვიმის და ჭექა-ქუხილის ხმა ოთახში შემოადრწევს).

ბათუ

(სიბნელეში გასძახებს). საფარ, საფარ, სად ხარ!

ნაზიბროლა

რა ანგარიშები გაქვს აღმასხიტთან? აღარ დამთავრდა?

ბათუ

(ღია კარში ყვირის). საფარ, დაბრუნდი, დამელოდე!

ნაზიბროლა

ბათუ, არ წახვიდე! გატყუებს. ეგ გოგო უკვე გათხოვილია!

(ჭექა-ქუხილს ელვა მოჰყვება. ოთახს ანათებს. ნაზიბროლა შიშისგან შეჰკივლებს და ჩაიკეცება).

ნაზიბროლა

ერთ კვირაში ჯვრისწერა აქვთ უკვე!

ბათუ

(ლაბადას მოიხურავს. ნაზიბროლას). მართო არ დაგტოვებ, ნუ გეშინია! (სწრაფად გადის).

(ნაზიბროლა მართო რჩება. ოთახს ნავთის ლამპარი ანათებს. დროდადრო ელვის მუქი შემოიჭრება ხოლმე).

მესამე სურათი

ნაზიბროლა, საფარ ბეგი

ნაზიბროლა დგება და ღიად დარჩენილი გასასვლელი კარისკენ მიდის. მოულოდნელად საფარ ბეგი ბრუნდება. წვიმისგან სველია.

ნაზიბროლა

გუშინ სიზმარში გნახე.

საფარ ბეგი

არ გამიშვა... მე თვითონ წავალო. უყვარხარ ეტყობა, ძალიან. *(კარს კეტავს. ოთახში შემოდის).*

ნაზიბროლა

არაფერი... ისე იდექი, ჩუმად და მიყურებდი.

საფარ ბეგი

მართო დარჩენის გეშინია?

ნაზიბროლა

ასე მიცნობ?

საფარ ბეგი

მეც ასე გეძახდი. *(ნაზიბროლას ხელს დაუჭერს).* ბროლა...

ნაზიბროლა

უკეთესი ვერ მოიფიქრე? მანქანის მოპარვით ქალს როგორ დაიბრუნებ? *(ხელს ითავისუფლებს).*

საფარ ბეგი

რა გინდა? ჰო „იმუშავა“?

ნაზიბროლა

ამ სისულელით მაეჭვიანებ? შენი ჭკუით გამომცადე?

საფარ ბეგი

(სველ პერანგს იხდის. ნაზიბროლას შეშინებული სახის დანახვაზე ჩერდება). არ გამოვიცვლო? სულ დავსველდი.

ნაზიბროლა

იცოდი?

საფარ ბეგი

მე ყველაფერი ვიცი. *(სველ ტანსაცმელს იხდის).*

ნაზიბროლა

ვინ გითხრა?

საფარ ბეგი

ბროლა, მომიტანე რამე მშრალი, ასე შიშველი ხომ არ ვიდგები? რას იფიქრებს ხალხი?

ნაზიბროლა

მითხარი!

საფარ ბეგი

ზია გოგო რომ გათხოვილია, ეგ ყველამ იცის. ქორწილიც დღე-დღეზე...

ნაზიბროლა

(აწყვეტინებს). მაგას არ გეკითხები. აღმასხიტთან რომ დაპირისპირება აქვს, ეგ საიდან გაიგე-თქო.

საფარ ბეგი

ჩვენ ყველას ერთი გამზრდელი რომ გვყავს, დაგავიწყდა?

ნაზიბროლა

დღეს რაღაც წვიმას აუტანიხარ...

საფარ ბეგი

არ მომიტან მშრალ ტანსაცმელს?

ნაზიბროლა

მართლა რომ მოგიყვანოს მანქანა, რას იზამ?

საფარ ბეგი

რაც უნდა, ის ქნას. მე და შენ უკვე აქ არ ვიქნებით.

ნაზიბროლა

გეკითხები!

საფარ ბეგი

(ვითომ შემინებული). მოკლავს? *(პასუხს არ ელოდება, სხვა ინტონაციით)*. მე რატომ არ შემიცოდე?

ნაზიბროლა

შენ თავს შეხედე...

საფარ ბეგი

ბათუს და აღმასხიტის ამბავი ყველამ იცის... რა ვერ გაიყვეს, ამხელა ფულს შოულობდნენ... კაზინოები, ტოტალიზატორები... ასე იცის დიდმა ფულმა... ფულს ფული მოაქვსო, მამაჩემი ამბობდა... *(ნაზიბროლას თავისკენ მიიზიდავს)*.

ნაზიბროლა

შენც ეგეთი ხარ. ჯერ შანსი არ მოგცემია, თორემ ეგეთი იქნებოდი. არა, უარესი!

საფარ ბეგი

მართლა გგონია, რომ ფულისთვის წავედი?

ნაზიბროლა

გვიანია უკვე... სიყვარული აღარ მაქვს... *(სხვა ინტონაციით)*. ხომ იცოდი, რომ მარტო შენ მიყვარდი!

(ნაზიბროლა ხელიდან უსხლტება. საფარ ბეგი მისკენ გაიწევს. ნაზიბროლა მაგიდის მეორე მხარეს მოუქცევა. ბათუ მისკენ წავა, ნაზიბროლა მაგიდას წრეს უვლის. საფარ ბეგი მაგიდის გარშემო ნაზიბროლასკენ ნელი ნაბიჯით მიდის. ნაზიბროლა საფარ ბეგის საპირისპიროდ დადის. ორივენი მაგიდას წრეს უვლიან).

საფარ ბეგი

(სახლზე მიუთითებს). ყოჩად, ყველაფერი კარგად მოგიწყვია...

ნაზიბროლა

შენ რომ ეჭვიანი ხარ, რა ჩემი ბრალია?

საფარ ბეგი

რას დადიოდი ამ სირთან? რა გინდოდა? ჩემს ჯინაზე, რატომ აკეთებდი ყველაფერს?

ნაზიბროლა

შენი სახელის გაგონება არ უნდოდათ ჩემებს. ვერ ხვდებოდი, რომ ძალით მათხოვებდნენ, ვერ ხვდებოდი, რომ ძალით...

საფარ ბეგი

(აწყვეტილებს). უნდა გამეტაცე?

ნაზიბროლა

ორ წელზე მეტი წასული ხარ, რა გააკეთე, რა ქენი, რომ ეს არ მომხდარიყო, შენ, შენ?! რატომ გაიქეცი?! ვინმემ გთხოვა?! თუ ბათუმ შეგაშინა? შიშისგან ჩაისვარე! მეტი ვერაფერი მოიფიქრე და წახვედი! დამტოვე აქ, ამ ორმოში, დამტოვე მარტო, სულ მარტო!

საფარ ბეგი

იმასაც ვერ მიხვდი, რომ ჩემს ჯინაზე შეუყვარდი.

ნაზიბროლა

(სიცილით). ეგ რაღაც ახალია. ჯინაზე შეყვარება არ გამიგია.

(მაგიდის გარშემო ნელა დადიან).

საფარ ბეგი

ყველაფერს ჩემს ჯინაზე აკეთებდა. მთელი ბავშვობა ასე იყო. მე რომ მშობიოდა - მაგასაც შიოდა, მე რომ მწყუროდა - მაგასაც სწყუროდა, მე რომ მეძინა - მაგასაც ეძინა, მე რომ ვთამაშობდი - ეგეც თამაშობდა! ჩემი მშობლებიც ჩემს ჯინაზე მაგას ართობდნენ, მაგას უვლიდნენ, ვაიმე, ბათუნიკო არ დაეცეს, ბათუნიკოს არ მოშივდეს, ბათუნიკოს არ მოეწყინოს...

ნაზიბროლა

რას ჩამოხვედი?!

საფარ ბეგი

(არ უსმენს, განაგრძობს). ...რომ მერე, მამამისს ჩვენთვის ფული მოეცა. ყველაფერს ფულით აკეთებდნენ, ფულით აგვარებდნენ საქმეებს, ჩემებსაც ფულის გამო უყვარდათ, შენც ფულის გამო გათხოვდი!

ნაზიბროლა

რატომ ჩამოხვედი!

საფარ ბეგი

(არ უსმენს, განაგრძობს). ...როგორც კი შანსი მოგეცა, ხომ გამოიყენე? რა იპოვე, ამ სირში? რატომ გაჰყევი მაინც და მაინც ბათუს?

ნაზიბროლა

რატომ ჩამოხვედი-მეთქი!

საფარ ბეგი

(არ უსმენს, განაგრძობს). ...ხომ იცოდი, ვინც იყო? სხვა ფულიანს ვერ მითხოვდი? ალმასხიტი მაინც აგერჩია!

ნაზიბროლა

შენ მართლა გგონია, რომ ფულისთვის გავაკეთე ეს? შე მართლა სირო!

საფარ ბეგი

(ნაზიბროლას აკვირდება). ა-ა, ახლა მივხვდი... ახლა ვხვდები, რატომ გათხოვდი... მე დამსაჯე!
(სიცილით). შენ ჩემი დასჯა გინდოდა და ჩემს ძუძუმტეს გაჰყევი ცოლად.

ნაზიბროლა

როგორც შენ ამბობ, „ხომ იმუშავა“?

(საფარ ბეგი ჰასუხის ნაცვლად იცინის. ნაზიბროლა ჩერდება. საფარ ბეგი ნაზიბროლასთან მიდის. მიიზიდავს).

ნაზიბროლა

რა გეგონა, აბა? ყველაზე მეტად ვინც გიყვარდა, იმასთან დავწევი.

საფარ ბეგი

ვერ ვიტანდი! ჩვენს ოჯახს ფულს აძლევდნენ და მაგიტომაც ვუთმენდი. თორემ, მაგის ხასიათის გადამკიდე, ვის ეყვარება... თავის თავი ისე უყვარს, სხვას ადგილს არ უტოვებს. *(ნაზიბროლას აკვირდება)*. არა... შენც არ გიყვარს... არც შეგიყვარდება არასდროს...

(საფარ ბეგი ნაზიბროლას მკლავში ხელს ჰკიდებს, მიიზიდავს, ეფერება, კოცნის).

ნაზიბროლა

ახლა შენი და ვარ.

საფარ ბეგი

მე კიდე შენი ძმა.

ნაზიბროლა

შენი ძუძუმტეს ცოლი ვარ!

საფარ ბეგი

მე კიდე, შენი მიჯნური!

ნაზიბროლა

გინდა ვიყვირო?

საფარ ბეგი

გავიპაროთ, წავიდე, ისევ ამერიკაში წავიდე, დღესვე წავიდე, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

ნაზიბროლა

შენ გამხადე ასეთი.

საფარ ბეგი

ყველაფერი მოვამზადე. სამსახური მაქვს, ახალ ცხოვრებას დავიწყებთ, ჩვენი სახლი გვექნება, შვილი გვეყოლება, ბედნიერები ვიქნებით...

(ერთმანეთს კოცნიან).

საფარ ბეგი

წავიდეთ, გავიპაროთ... დღესვე, ახლავე... *(კოცნის)*. გაპატიებ, ყველაფერს გაპატიებ... ბავშვს ელოდები? მითხარი, ვიშვილებ...

ნაზიბროლა

იშვილებ? *(შეშინებული ხელს კრავს)*.

საფარ ბეგი

ასეა? ელოდები? მერე რა, რომ ჩემი არ არის...

ნაზიბროლა

გაჩუმდი, გაჩუმდი მაინც...

საფარ ბეგი

ვიშვილებ.

ნაზიბროლა

მეზიზღები!

საფარ ბეგი

მიყვარხარ!

ნაზიბროლა

ყველაზე მეტად შენ მეზიზღები.

საფარ ბეგი

იცოდე, დღეიდან შენი ქმარი მე ვარ.

(საფარ ბეგი ნაზიბროლას კოცნის. ნაზიბროლა კოცნას დაჰყვება).

ნაზიბროლა

მიჯნური ხარ?

საფარ ბეგი

შენი სატრფო...

ნაზიბროლა

ჩემი სატრფო ხარ?

საფარ ბეგი

მიჯნური ვარ...

(ერთმანეთს ტანსაცმელს ხდიან, ძირს წვებიან. ჩვენ მათ ვერ ვხედავთ, რადგან მაგიდა გვიშლის ხელს, მაგრამ ვხვდებით, რომ საფარ ბეგს და ნაზიბროლას ვნებიანი სექსუალური აქტი აქვთ).

მეოთხე სურათი

ჰაჯი უსუფი, ცხენი, ბადმარან-მართა, ზია გოგო

გარიჟრაჟი. ჰაჯი უსუფი მშენებარე ეკლესიის წინ მომავალი სასაფლაოს ღობეს ღებავს. გასწვრივ გაშენებულ ბოსტანში ცხენი ფუსფუსებს.

ჰაჯი უსუფი

მთელი დედამიწა ერთი დიდი სასაფლაო... დასაბამიდან ასე არ იყო, მაგრამ ასეთი გახდა... ერთი დიდი სასაფლაო... ოცდახუთ წელიწადში თურმე, მიწა ჭამს ყველაფერს და ძვლების გარდა არაფერი რჩება... წარმოიდგინე, ადამი და ევას დროიდან, რამდენი ადამიანი დაიბადა და მერე გარდაიცვალა...

(ცხენი არ უპასუხებს. სტაფილოს ამოთხრის და კალათაში აწყობს).

ჰაჯი უსუფი

დაბადებიდან წინაპარი ხარ... იმ წამიდან... პირველი სხივიდან... პირველი ჩინიდან... დაიბადები და მერე, შენ უნდა დაბადო წინაპრები, თორემ დარჩები წარსულის გარეშე... სატირალია, სასაცილო რომ არ იყოს...

(ცხენი დააცემინებს. ჰაჯი უსუფს მოულოდნელობისგან გული გაუწყრება. გაბრაზებული შეხედავს. ენაზე სიტყვა ადგას, მაგრამ გადაიფიქრებს და ღობის ღებვას განაგრძობს).

ცხენი

ამდენს იმიტომ ლაპარაკობ, რომ სიკვდილი გინდა და არ კვლები.

ჰაჯი უსუფი

ოცდახუთი წელიწადში... ძვლები ხარ და ძვლებად იქცევი...

ცხენი

რას აპირებ?

ჰაჯი უსუფი

სასაფლაოზე, ადგილი რომ აღარ რჩებოდა, ახალ ეკლესიას აშენებდნენ, თურმე. ორი კაცი სულ იყო. ერთი დასავლეთში, მეორე აღმოსავლეთში. მონახავდნენ ამ კაცებს, დაუძახებდნენ, მოვიდოდნენ ეს კაცები ვაზის რქით ხელში და იწყებდნენ ძებნას. მომაწოდე რქა... აი, ასე...

(ცხენი უნაგირიდან ორ ვაზის რქას იღებს და ჰაჯი უსუფს აწვდის. ერთს ჰაჯი უსუფი იტოვებს, მეორეს კი ცხენს უბრუნებს).

ცხენი

ტყუილად ვიარე ამდენი? ცოცხალი ძლივს გადავრჩი...

(ჰაჯი უსუფი ვაზის რქით ხელში დადის და მიწას ჩაჰკირკიტებს. დროდადრო ცხენს ხელით ანიშნებს, რომ მანაც დაიწყოს ძებნა. ცხენი და ჰაჯი უსუფი ვაზის რქით ხელში დადიან და „რადაცას“ ეძებენ).

ჰაჯი უსუფი

ერთი იქიდან, მეორე აქედან... დადიოდნენ და პოულობდნენ დედამიწის ნერვს. ერთი ხომ იპოვიდა, აი ასე, ჩვენ რომ ვიპოვეთ... აი, აქ გადის ერთი ნერვი, არხივით მიუყვება ეს ნერვი მიწისქვეშეთში, ისე, რომ ჩვენ ვერც ვხედავთ, აი, ასე... ახლა მეორეც ხომ იყო, ვაზის რქით ხელში, ახლა, მეორე დადიოდა ამ რქით, ეძებდა მეორე ნერვს და სადაც გადაიკვეთებოდა, იმ ადგილას აშენებდნენ ეკლესიას... *(ეკლესიაზე მიუთითებს)*. აი, აქ ერთმანეთს გადაეკვეთა დედამიწის ორი ნერვი და დავდგით ეკლესია. ამ ადგილს ჯვართკვეთა ჰქვია. შენ კიდევ, სისულელეებს მელაპარაკები! ძვლები ხარ და ძვლებად იქცევი. *(ვლავ ღობის ღებვას უბრუნდება. ჩერდება, ცხენს გახედავს)*. რას დგახარ, მოდი, მომეხმარე...

ცხენი

ჯვართკვეთა... მაინც ვერ გავიგე... (ვაზის რქებს უნაგირში ინახავს, სათლში საღებავს ჩაასხამს და ურევს).

ჰაჯი უსუფი

(ღებვას განაგრძობს). მერე, იკურთხებოდა ჯვართკვეთა, მერე ილოცებდნენ და იწყებდნენ ეკლესიის აშენებას...

ცხენი

(ცხენი კიდევ ერთხელ დააცემინებს. ჰაჯი უსუფს შეშინებული გახედავს. დამნაშავესავით). არ ვარ გაციებული...

ჰაჯი უსუფი

(ამჯერად, ყურადღებას აღარ აქცევს). ამასობაში, მოკვდებოდა ვინმე სოფლად და სად უნდა დაემარხათ, თუ არა ეკლესიის ეზოში? ჰოდა, მარხავდნენ...

ცხენი

შენი საფლავი მონიშნული გაქვს?

ჰაჯი უსუფი

ეს ჯვართკვეთა ზეციური და მიწიერი ძალების ერთიანობაა. შენ რა გგონია, რატომ არ ინგრევა ეკლესიები, რატომ უძლებს საუკუნეებს? შენ გგონია, ცემენტი და ქვა არის მთავარი, მართლა ასე ფიქრობ?

(ჰაჯი უსუფი პასუხს ელოდება. ცხენი შურას არიდებს, ვითომ შეკითხვა არ გაუგია. სათლში ჩასხმულ საღებავს ურევს, შემდეგ ფუნჯს იღებს და ისიც ღობის ღებვას იწყებს).

ჰაჯი უსუფი

როგორც ეკლესიაა ერთი ღედა, სასაფლაოც ერთი მამასავით იყო ყველასათვის. დიდებისათვის თუ მცირეთათვის, უპოვართათვის თუ განდიდებულთათვის, სუსტებისთვის თუ ამპარტავანთათვის, მოკვდავთათვის თუ წინასწარმეტყველთათვის. იმიტომ, რომ ერთი გზით მიხვალ ორ ადგილას. ორი გზით ორ ადგილას ვერ მიხვალ, ისევე როგორც, ერთი ეკლესიით ორ ღმერთს ვერ იწამებ. და ეს ერთი დიდი სასაფლაო, დედამიწა რომ დაარქვეს, ორ გზას უჩვენებდა. როგორც ორი ფიცრისაგან შეკრული ჯვარი. გზა სამოთხის და გზა ჯოჯოხეთის. ორი ფიცარი: მიწისა და ცის.

(ჰაჯი უსუფის მონოლოგის დროს ეკლესიიდან გამოდიან ბაღმარან-მართა და ზია გოგო. ჰაჯი უსუფი და ცხენი მათ ვერ ამჩნევენ).

ცხენი

ჰოდა, რისი გეშინია? ორი ღღე-ღამე დაგრჩენია. გამოდი და თქვი! ხალხი გელოდება. დაიქცა ქვეყანა.

ბაღმარან-მართა

(შეამჩნევს, რომ ჰაჯი უსუფი ვიდაცას ელაპარაკება. მაგრამ, მის გვერდით მხოლოდ ცხენია და ეჭვის თვალთ აკვირდება, ფრთხილად უახლოვდება). არ ისვენებ, ყველას გამზრდელი?

(ვითომ დანაშაულზე წაასწრესო, ჰაჯი უსუფი სწრაფად ჩუმდება, ცხენი კი, შიშისგან ერთ პოზაში გაიყინება. ზია გოგო ჰაჯი უსუფთან მიიღბენს და მუხლმოდრეკილი ხელზე კოცნის. ჰაჯი უსუფი ზია გოგოს წამოაყენებს).

ბაღმარან-მართა

საკუთარ თავს ელაპარაკები, განა?

ჰაჯი უსუფი

მიყვარს ჭკვიან ხალხთან ლაპარაკი.

ბაღმარან-მართა

(სიცილით). ბებერი ხარ, მაგრამ გასაცინს იტყვი ხოლმე.

ჰაჯი უსუფი

ამ უთენია რომ მოსულხარ, ბაღმარან-მართა, სახლში საქმე არ გაქვს?

ბაღმარან-მართა

ეს რა კარგი სასაფლაო გაგიმართავს. განა, ჩვენ არა გვეკუთვნის, უბრალო ხალხსა ერთი სიმართლე ამ დედამიწაზე?

ჰაჯი უსუფი

სასაფლაო არ გახსნილა.

ბაღმარან-მართა

რა გახსნა უნდა? აქ არ არის? *(სიცილით)*. ამოვთხრი ორმოს და ჩავწვები.

ჰაჯი უსუფი

ჯერ ქორწილი დაამთავრე და მერე დავილაპარაკოთ.

ბაღმარან-მართა

იმ კვირის ძირში, იმ კვირისა... თორემ, უკვე დაეტყო... მუცელქმნილია და...

ჰაჯი უსუფი

(შეიცხადებს). ჯვრისწერამდე?! *(კაუზის შემდეგ)*. კარგი კაცია შენი სიძე... საქმე აქვს სათუო, საეშმაკო, თორემ... რას მომჩერებიხარ?

ზია გოგო

(მოკრძალებით საუბარში ერთვება). ეკლესიას ხომ აშენებს...

ჰაჯი უსუფი

შენი ქმარი რომ მომიყვანეს, სულ ლატიფი იყო. სახელიც კი არ ჰქონდა, ამ წამის ნაჩუქარი ჰქონდა ჩინი. აღმასხიტი დავარქვით... ახლა კი, ამხელა საქმეებს ატრიალებს... ეშმაკის სახლებს ხსნის, ჯერი-ჯერზედ...

ბაღმარან-მართა

ჩემი ზია გოგოსთვის კარგი პატრონი გამოვა და...

ჰაჯი უსუფი

(უხეშად აწყვეტინებს). აბა, „პატრონი“ რა საკადრისია?! მე აღმასხიტი „მეპატრონე“ კაცად არ გამიზრდია. „მეპატრონე“ ცხენსა ჰყავს. ხომ გაგიგია, „ვაჟკაცს ცოლი თავლაში კი არ დაუსვამსო“. ცოლი კიდევ მეჭაპანეა.

ბაღმარან-მართა

ჩემი ზია გოგო დარიბი კია, მაგრამ ლამაზია. თეძოები ორი ტოლი სისატურა აქვს და სარძევედ კიდევ სამი ძუძუ გაუმზადებია. ახლა ხელი? ხელი ისეთი აქვს რიყის ქვას ზისხურათ მოგაჩვენებს. ფენი მარდი და ცქვიტი. თავში თივის ნაცვლად სიბრძნის თესლი ღვივის, ისიც იმიტომ, რომ ბეწოა. თორემ, რომ დაქალდება, მისგან სამი კაცის ნამყოფი დადგება. თავი კი, ერთია აბია, მაგრამ შიგნით კიდევ თავი აქვს. *(შეიცხადებს).* აჰ, კუდი არ აქვს, არა! ფუი, ეშმაკს!

ჰაჯი უსუფი

კაცია და ქალია, ღმერთისთვის სულ ერთია.

ბაღმარან-მართა

მაშ, თორმეტ მოციქულთანა ქალი რატომ არ დასვეს? რა, განა ქალი არ იყო მაშთვინა? რა, განა ქალი მარტო საშოა, და მერე ცრემლია, და მერე მიწა? განა, პირველი ქრისტიანი მარია მაგდალინელი არ იყო? განა, მაგან პირველმა არ იხილა მაცხოვრის აღდგომა? განა...

ჰაჯი უსუფი

(ხმაბლლად აწყვეტინებს). ბაღმარან-მართა! დასტამალი ხელში რომ გიჭირავს და ეკლესიას ალაგებ, იმას კი არ ნიშნავს, რომ სახარების წმინდა სიტყვები ჯენჯოდან განსაჯო?

ბაღმარან-მართა

არაფერი მოაკლდება ჩემს ზია გოგოს. ხელის გულზე ატარებს, უყვართ ძალიან ერთმანეთი. სულ ბუღბუღებულობით არიან, ლოცულობენ დილა ჟამს.

ცხენი

(საუბარში მოულოდნელად ერთვება). მაკედ კი დატოვა და... *(წამოსცდა და სწრაფად ჩუმდება, თითქოს არაფერი უთქვამს).*

ბაღმარან-მართა

(გაკვირვებული ცხენს უყურებს). ყველას გამზრდელი, ეგებ, მართალია რასაც ხალხი ამბობს...

ჰაჯი უსუფი

„არს გონებითა ღვთისა აღსვლა ჯეროვანი, ლოცვა არს ვედრება, არამედ განიყოფიან სიტყვითა ღვთისა შემწედ მოწოდება, ვედრება ცრემლიანითა თვალითა და სიტყვითა.“ წადი ახლა და ილოცე!

ბაღმარან-მართა

(ტაატიტ გადის). ბუნებაა საზრუნავი, თორემ ადამიანი ხეა.

ჰაჯი უსუფი

ხეც ხარ და ფოთოლიც... შენ მაგის ფული გიყვარს და მე კიდევ, მაგის სული. ამ ეკლესიით უნდა ცოდვები ჩამოიბანოს, მძიმე ცოდვები. მე მაგისტრის ტყუილი არ მისწავლია, არა! ეშმაკს სახლი გაუხსენი და ხალხი გაყვლიფეო, არ მისწავლია!

ზია გოგო

„ბედაური ცხენი მათრახს არ დაირტყამსო“.

(ბადმარან-მართა ეკლესიაში შედის, უკან ზია გოგო მიჰყვება. ჰაჯი უსუფი და ცხენი კვალში უყურებენ).

ცხენი

მაგ „ეშმაკის სახლში“ ნაშოვნი ფული ხომ გამოართვი?!

ჰაჯი უსუფი

რომ ღვთის სახლი ავაშენო და ისევ ეშმაკი დავამარცხო.

ცხენი

ორი სოფლის დღე დაგრჩენია, რისი გეშინია?

ჰაჯი უსუფი

ხმა გაკმინდე, მცირედ მორწმუნევ! ვინც კი კაცად დამდგარა, ყველა ჩემი გაზრდილია.

ცხენი

დაგიფასდა...

(ჰაჯი უსუფი ღობის ღებვას განაგრძობს. ცხენი სათლში საღებავს შეუვსებს, მოურევს).

ჰაჯი უსუფი

(თითქოს, პასუხი ახლა მოაფიქრდა). რა ვთქვა? მტერი შემოვა და მოემზადეთ-თქო? რომ მშვიდობა დამთავრდა და ომი დაიწყება-თქო? ამ ხალხს კიდევ ეგ უნდა?

(ცხენი პასუხს არ სცემს. ბოსტანს მიუბრუნდება და სტაფილოთი კალათს ავსებს)

ჰაჯი უსუფი

შენ გგონია, მე არ ვიცი, სათქმელი რომ არის? მაგრამ, დამიჯერებენ?

(ცხენს შეხედავს. ცხენი პასუხად არც კი გახედავს).

ჰაჯი უსუფი

უბედურებაც ეგ არის, რომ დამიჯერებენ... მაგრამ, იქნებ, არც ღირს თქმა? იქნებ, ცოდნა სიბნელეა და უცოდინარობა სინათლე? ეგებ და, რომ შემოვიდეს მტერი, ეგებ და მოუმზადებლები რომ დავხვდეთ, ეს უფრო საჭირო იყოს? იქნებ, გაემშაქებულ ხალხს ცოდნა შეაშინებს და ბრძოლის გარეშე ფარ-ხმალს დაყრის? იქნებ, მოუმზადებლობა დაბადების საწინდარია? განა, ბავშვიც ასე არ იბადება, ცხრა თვე მუცელშია და არც კი იცის, რომ უცებ უნდა დაიბადოს. იშვება და იწყებს ცხოვრებას. პირველი ცრემლიდან ბოლო ცრემლამდე... ასეა... იქნებ, არ უნდა გაცხადდეს უბედურება, თორემ მოუმზადებიან, შეეშინდებათ და ვირთხებივით გაიქცევიან... იქნებ... იქნებ... იქნებ...

ცხენი

ძილის დროს რომ მტერი დაგეცემა, რას მოიგებ?

ჰაჯი უსუფი

გამწარდება, გაავდება და გასასტიკდება, რომ გადარჩა იმიტომ. და უფრო ბოროტი გახდება, მშიერი... სისხლს მოწყურებული... და მერე აიღებს იარაღს და შურს იძიებს... ეგეთი კაცი, სიკვდილს ეძებს და ვერ პოულობს, ეგეთი კაცი, ომს იგებს. აი, რატომ ვფიქრობ ამდენს...

ცხენი

შენ ხარ ვენახი...

ჰაჯი უსუფი

მე დავიმარხები ამ ცოდნით, ამ სიბნელით, ამ მსჯელობით. სისხლი თუ არ გამოუმჯა ხალხმა, სისხლით თუ არ შედება საფლავი, ისე არც ადამიანია ხალხი და არც ერია ბერი. ომში კაცი კვდება და ერი იბადება.

(ცხენი დააცემინებს).

ჰაჯი უსუფი

(ყვირილით). არ გადამლო, იცოდე!

(ცხენი ჯიბიდან პირბადეს ამოიღებს და იკეთებს. ჰაჯი უსუფი ხელს გაუწვდის, ანიშნებს, მეც მომეციო. ცხენი მასაც აწვდის. ცხენი ნიჩაბს და წერაქვს იღებს, ერთს ჰაჯი უსუფისთვის, მეორეს თავისთვის. ორივენი ეკლესიის უზომში შედიან).

ჰაჯი უსუფი

(უფრო თავისთვის). რას დაემსგავსენ? ბურამაძეებივით ეშმაკს ეკვრიან, მისი სახლებიდან არ გამოდიან, მას ეთაყვანებიან... ეკლესიასაც ეშმაკის ფულით ვაშენებ...

მეხუთე სურათი

ბათუ, ალმასხიტი, ჰაჯი უსუფი, ბაღმარან მართა, ზია გოგო

ღამეა. სცენაზე დგას დიდი, გემის მსგავსი მანქანა. ფარულად მალვით შემოდის ბათუ. ქუჩას ათვალიერებს. დარწმუნდება, რომ არავინაა, მანქანასთან მიდის და კარის გახსნას ცდილობს. სცენაზე შემოდის ალმასხიტი. ბათუ არ მოელოდა.

ალმასხიტი

გასაღები არ გინდა?

ბათუ

სხვისი არაფერი მინდა.

ალმასხიტი

შენია და გასაღები არ გაქვს?

ბათუ

აქ რა გინდა?

ალმასხიტი

მე მეკითხები ამას? მე სახლში ვარ.

ბათუ

რა გინდა-მეთქი?

ალმასხიტი

მილიონს მივცემ კაცს, თუ უჭირს, მაგრამ ჯიბეში ხელს თუ ვინმე ჩამიყოფს, ერთი დოლარიც რომ მედოს, ძირში მოვაჭრი.

ბათუ

შენს ჯიბეში რა საქმე მაქვს?

ალმასხიტი

გასაღები არ გინდა? (გასაღებს გადაუგდებას).

ბათუ

(გასაღებს დაიჭრს). რა გინდა, გეკითხები.

ალმასხიტი

დიდი გეგმები მაქვს, მომავალს ნათელი თვალით ვუყურებ... ცოლი მომყავს, გაიგებდი, ალბათ. მალე ქორწილსაც გადავიხდი.

ბათუ

მე რა საქმე მაქვს?

ალმასხიტი

არ მინდა, რამემ ხელი შემიშალოს... მშრალი მინდა გამოვიდე წყლიდან...

ბათუ

მერე, ჩემგან რა გინდა?

ალმასხიტი

მერე ის, რომ ვიღაცამ შეიძლება იმაზე მეტი იცის, ვიდრე მე ვიცი. *(მანქანის კარს ათვალიერებს)*.
კარი გაგიფუჭებია? ნაკაწრია... არ ეშვები, ძველ საქმეებს?

ბათუ

ჭკუას მასწავლი?

ალმასხიტი

მეგონა, ცოლს რომ მოიყვანდი, ახალ ცხოვრებას დაიწყებდი... *(პაუზის შემდეგ)*. აბა, რატომ
მოიყვანე ცოლი?

ბათუ

(იარაღს ამოიღებს). ხელს მადებ?

ალმასხიტი

უყურე, შენ? *(ბათუსკენ იარაღის გამოსართმევად მიდის)*. მაჩვენე, ერთი...?

ბათუ

შენ მგონი, შარზე ხარ?

ალმასხიტი

(ბათუს იარაღს უყურებს). ბერეტა... ემ ერ სამოცდაცამეტი... არ ეშვები, ესე იგი... „ბარაბნიანი“ სულ
გიყვარდა... მათხოვე... მაინტერესებს, როგორია...

ბათუ

დღეს ყველა იარაღს მთხოვს...

ალმასხიტი

მე კიდეც, მანქანას... *(ჯიბიდან იარაღს იღებს, ბათუს აწვდის)*. კოლტია, ემ1911, ნახევრად
ავტომატური, ორმოცდახუთიანი. *(ელოდება, როდის გაცვლიან პისტოლეტებს)*. ჩემი აიღე, თუ არ
გჯერა... gamivale

ბათუ

შენთვის რომ იარაღი ეთხოვათ, რას იზამდი?

(ალმასხიტი საკუთარი იარაღი ბათუსთვის აქვს გაწვდილი. ბათუ არც თავის იარაღს აძლევს და არც ართმევს. ალმასხიტი ხელგაწვდილი დგას).

ალმასხიტი

შენთვის რომ მანქანა მოეცათ, რას იზამდი? (იარაღს კვლავ ჯიბეში ინახავს). გასაღები ხომ მოგეცი? წაიყვანე.

ბათუ

ძველი ვალები გაქვს, ჩემი. (იარაღს ინახავს. ფრთხილი ნაბიჯით მანქანისკენ მიდის).

ალმასხიტი

ოღონდ... რაც იყო, იყო... წყენა დავივიწყოთ...

ბათუ

მართო ამ მანქანით ვერ გამოხვალ.

ალმასხიტი

შენ გამზრდელთან კარგად ხარ. გენდობა...

ბათუ

გამზრდელთან რა ითქვა, ერთია და მე და შენს შორის რა ითქმება - მეორე.

ალმასხიტი

სხვა რამე მაინტერესებს... ცხენი ჩამოვიდა მაგასთან, მხედრის გარეშე, გაიგებდი... ამბობენ, ეს ცხენი ლაპარაკობსო, რისიც მე არ მჯერა, მაგრამ ახლა ისეთი დროა, რომ ვთქვათ და ლაპარაკობს, მაგრამ, ეგ არ არის მთავარი. (პაუზის შემდეგ. აკვირდება, თითქოს პირველად ხედავსო). არ გაგიგია, არაფერი?

ბათუ

ცხენი რომ ჩამოვიდა, მეც გავიგე.

ალმასხიტი

და რა ჩამოიტანა, ამ ცხენმა? „დიდი კაცის“ წერილი?

ბათუ

რა გინდა, პირდაპირ მითხარი!

ალმასხიტი

ხალხი რას ლაპარაკობს, არ გესმის?

ბათუ

როდის იყო ეგ გაინტერესებდა?

ალმასხიტი

კარგი... პირდაპირ გეტყვი, რახან არ შედის შენს თავში... ომი იქნება, ალბათ და ომი თუ იქნება, დაიქცევა ეს ქვეყანა და რომ დაიქცევა, ყველაფერს ქარი წაიღებს, ქარი კი არა, ომი წაიღებს. პურის ფული სანატრელი გვექნება. თუ შემოვიდნენ, მერე ვერც გავასწრებთ, მერე ვერც ცოლებს გადავარჩენთ, ვერც დედებს და ვერც თავებს! ამ მანქანასაც „დიდი კაცი“ წაიღებს. არც მანქანა დაგრჩება და არც ბიზნესები.

ბათუ

ყველა ბიზნესი შენ წაიღე, მე რა დამიტოვებ?

ალმასხიტი

ვერ გაიგე, რას გეუბნები? ომი თუ იქნება, ვის რა ბიზნესი აქვს, მნიშვნელობა არ ექნება.

ბათუ

შენ ჩემი წილი დადე და მე გადავწყვეტ, რა მნიშვნელობა ექნება.

ალმასხიტი

რამე გითხრა ჰაჯი უსუფმა? რა ეწერა იმ წერილშიო?

ბათუ

ომის გეშინია?

ალმასხიტი

ომი იქნებაო?! გითხრა? ეგ ეწერა? მოიწერა „დიდმა კაცმა“? როდის იქნებაო? შემოვლენ? საიდან შემოვლენ? როდის შემოვლენ? რაო, რა გითხრა, მითხარი!

ბათუ

(მანქანისკენ მიდის). მართო ამ მანქანით ვერ გამოხვალ. რაც ჩემია, ის ჩემია.

ალმასხიტი

რამდენი გინდა, მითხარი, რა გინდა და გავიყოთ, ოღონდ როდის დაიწყება, ეგ უნდა ვიცოდე.

ბათუ

(კარს აღებს). ასე შეგაშინა ომმა, ალმასხიტო? კაცი იყავი, მეგონა.

ალმასხიტი

მოდ, სად მიდიხარ. მოდი, დავილაპარაკოთ!

ბათუ

ასე იცის დიდმა ფულმა, შიში იცის და გაშიშებულიხარ, კაცი. რას დაემსგავსე.

ალმასხიტი

მოდ, მოდი მითხარი რა გინდა, სად მირბიხარ, რამის გეშინია? სახლში გარბიხარ, რამე არ მოხდეს?

ბათუ

(პაუზის შემდეგ, ყურადღებას არ აქცევს აღმასხიტის სიტყვებს). შენსავით რომ ვცხოვრობდე, მეც შემეშინდებოდა.

აღმასხიტი

და შენ? სხვისი ქალი რომ გყავს, არ გეშინია?

ბათუ

შეგვარიგეს აღმასხიტო და სიტყვა რომ არ მქონდეს ნათქვამი...

აღმასხიტი

ბიზნესი წაგართვეს, ცოლს გართმევენ, ვინ ხარ, საერთოდ?

ბათუ

(იარაღს ამოიღებს, უმიზნებს). გეფიცები, გეფიცები...

აღმასხიტი

რისი მაქნისი ხარ? სად არის შენი ცოლი? იცი, ახლა რას აკეთებს?

ბათუ

სიტყვა არ გამატეხინო, აღმასხიტო! თორემ, მკვდარი ხარ.

აღმასხიტი

იცი, ვისთან დატოვე? იცი?!

ბათუ

შენ რა იცი? დახმარება უნდა!

აღმასხიტი

მე რა ვიცი, რომ მოხვიდოდი? ვინ მითხრა? მაგან მითხრა! რას მიყურებ? ჰო, მაგან მითხრა! ეტყობა მოილაპარაკეს და გამოგიშვეს, მანქანის ქურდობაზე წამესწრო. ვინ რას დამაბრალებდა? ფანჯრიდან გადმოვიხედე, მანქანას იპარავენ, მეც ავიღებდი და დავუშვებდი ფანჯრიდან, გამოვიდოდი და შენ დამხვდებოდი. რა მეცოდინებოდა, შენ რომ იქნებოდი? დასაცინი კაცი გახდი, მასხარა...

ბათუ

ძუძუმტეს ვეხმარები...

აღმასხიტი

რომელ ძუძუმტეს, აქ რომ გამოგიშვა?

ბათუ

ჩემი ძუძუმტეა... მოვიდა, დამეხმარეო, ერთად მოვდიოდით... მე ვუთხარი დარჩი-თქო, არ წამოვიყვანე, სახლში დავტოვე, მელოდება... შენი გამწარება უნდა, შენი ქალი უყვარს, ერთმანეთი უყვართ და შენ წაართვი...

ალმასხიტი

(ხმამაღლა გაიცინებს). ჩემი ცოლი სახლშია, აგერ, ფანჯრიდან იყურება. შენი სად არის?

ბათუ

მიყვარს!

ალმასხიტი

რა ეწერა იმ წერილში?! მოდიან? როდის შემოვლენ?

ბათუ

ვუყვარვარ...

ალმასხიტი

რა ეწერა იმ წერილში!

ბათუ

დანმარება უნდა... ჩემი ძუძუმტეა...

ალმასხიტი

შენ და შენი ძუძუმტე ცოლის ძუძუსაც გაიყოფთ? მითხარი, რა ეწერა იმ წერილში.

(ბათუ ჩახმახს გამოკრავს და ალმასხიტს ესვრის. ალმასხიტი მკვდარი ეცემა. ბათუ მანქანაში ჯდება და მიდის. ხმაურზე შემორბიან ბაღმარან მართა და ზია გოგო. ალმასხიტთან მივლენ, ცდილობენ მოასულიერონ, მაგრამ ალმასხიტი მკვდარია).

ბაღმარან-მართა

ჩემთვის სასაფლაო მინდოდა და სხვისთვის გამითხრია, ჩემთვის სიკვდილი მინდოდა და სხვა მომიკლეს, ჩემთვის დასვენება მინდოდა და სხვამ დაისვენა, ჩემთვის ბედნიერება მინდოდა და სხვა გაუბედურდა. მომიკლეს ალმასხიტი, ჩემი ქალიშვილის ქმარი, ჩემი ოჯახის სიძე, ჩემი შვილიშვილების მამა... მომიკლეს.

(ზია გოგო ჩუმად ქვითინებს. შემოდინან ჰაჯი უსუფი და ცხენი).

ზია გოგო

(ჰაჯი უსუფს). თეთრი წვერი გაგიზრდია, ყველას ზევიდან გვიყურებ და ჭკუას გვასწავლი, ბრძენის სახელი გაქვს, შენს სახელს ბავშვებს ვარქმევთ და გაზრდას განდობთ, შენ სადღეგრძელოს ვსვამთ, შენზე ვლოცულობთ, შენს სიტყვას ვუსმენთ და ერთმანეთს ვუბნებით... როგორ მოახერხე, რომ შენი გაზრდილები ერთმანეთს კლავენ, ცოლებს ართმევენ და ქვეყნის ასაოხრებლად მოდიან? არ ასწავლე მეგობრობა, ერთგულება, თანაგრძნობა, შეცოდება, სინანული? არ ასწავლე სიყვარული?

ბაღმარან მართა

(ჰაჯი უსუფს). ეკლესია ააშენა, ზარი ჩამოასხმევინა, ახალი სასაფლაო გამართა... განა, არ უნდა სცოდნოდა, ომი როდის დაიწყება? არ დაიმსახურა? რატომ არ უთხარი სიმართლე? რატომ არ გვეუბნები, ომი როდის იქნება? შენგან უნდა მოვისმინოთ, შენი პირით უნდა გეთქვას!

ზია გოგო

(ცხენს მიმართავს). რა ეწერა წერილში, იმის გაგება უნდოდა, მხოლოდ...

(შეშინებული ცხენი სცენიდან შეუმჩნევლად გადის).

ბაღმარან მართა

(ჰაჯი უსუფს). რაზე უთქვამს უარი, რაზე დაუხევია უკან? რას გთხოვდა? ერთი დღით ადრე მითხარიო, ერთ დღეს გთხოვდა.

ჰაჯი უსუფი

(მკვდარ აღმასხიტს). „დიდი კაცი“ მოდის დასაპყრობად და ასაოხრებლად. უნდა გაგვჭყლიტოს როგორც ჭიანჭველა... ჩვენ რომ ფეხს დაგვადგამს, ეს ფეხი მარტო ჩვენ კი არ მოგვხვდება, სხვებსაც მოხვდებათ... იმიტომაცაა „დიდი კაცი“, რომ დიდ საქმეებს აკეთებს და ჩვენისთანა ციციქნა საქმე მაგისტვის, ერთი კოდოს ნაკბენია. გიორგობას აქ იქნება.

მეექვსე სურათი

ბათუ, საფარ ბეგი, ნაზიბროლა

ბათუ და ნაზიბროლას სახლი. ოთახში შუქი ანთია. ქუქა-ქუხილმა გადაიღო. შინ მხოლოდ წვიმის ხმა აღწევს. ნაზიბროლა და საფარ ბეგი კვლავ იატაკზე წვანან. შემოსასვლელი კარი იღება და შემოდის ბათუ. საფარ ბეგი მას ვერ ამჩნევენ.

ნაზიბროლა

(*უფრო თავისთვის*). მე გავათვიცნობიერე, რომ ტრაგედიისთვის სულაც არ არის საჭირო თეატრში წასვლა.

(*ბათუ ხელი ნაბიჯით მაგიდას შემოუვლის. ბათუს დანახვაზე საფარ ბეგი შეშინებული წამოხტება და სახელდახლოდ ტანსაცმლის ჩაცმას იწყებს. რამდენჯერმე დაეცემა და ადგება, ბოლოს ნახევრად მიშველი იატაკზე რჩება. ნაზიბროლა მაგიდის ქვეშ იმალება*).

ნაზიბროლა

ბათუ, მე გავათვიცნობიერე, რომ ტრაგედიისთვის სულაც არ არის საჭირო თეატრში წასვლა.

(*ბათუ ნაზიბროლას ყურადღებას არ აქცევს. საფარ ბეგს თავზე წამოადგება. საფარ ბეგი კუთხეშია მომწყვდელი*).

ნაზიბროლა

(*ყვირილით*). ბათუ! (*პაუზის შემდეგ*). მაგიდის ქვეშ ჩემი ორეულია, ჩემი გარდაცვლილი მონაცვლე და მიესალმე! მე აქ მკვდარი ვწევარ, ბათუ. (*მაგიდის ქვეშ შემძვრალი ნელა გამოდის*) ბათუ, მე ჯერ არ ვიცოდი, რომ უსიცოცხლო ნაზიბროლა გულში უნდა შემომეშვა და ცრემლები წამსკდა, უადგილოდ, რა დროს ცრემლები იყო, უნდა მესმინა მაგიდის ქვეშ დამალული ნაზიბროლასთვის, მაგრამ ვტიროდი, ცრემლებით ვტიროდი, ბათუ, და ამ დროს გარდაცვლილი ნაზიბროლა მაგიდიდან გამოძვრა, ხელი მომკიდა და ისევ იქ შემიპატიჟა. (*მაგიდაზე მიუთითებს*). მე ჯერ ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ეს, როდესაც შენი ჩამქრალი ორეული მაგიდის ქვეშ გეპატიჟება, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, აცრემლებული თვალებით შევყევი, წვინტლებს პერანგით ვიწმენდი და იმაზე ვფიქრობდი, შევცდი, თუ არა. იქნებ, ჯერ კიდევ არსებობდა იმედი და ეს რომ გავიფიქრე, ხელი ვკარი ნაზიბროლას, გამოვძვარი და გარეთ უნდა გავქცეულიყავი, რომ ერთი წამით გავქვავდი, რაღაც ძალამ გამაჩერა და უკან მოვიხედე. მაგიდა ისევ იქ იდგა, სადაც დავტოვე, ნელა მივეპარე, არავინ ჩანდა, ძლივძლივობით მივუახლოვდი და შევიხედე. იქ მარტო პურის ნამცეცები და ფეხსაცმლის მტვერი ეყარა და ვიფიქრე, რომ ეს ყველაფერი მომეჩვენა, რომ იქ ჩემი ცხედარი კი არა, მე ვიყავი ზმანებაში, წამიერად აცრემლებული და შეშინებული და ისევ შევძვარი. (*მაგიდაზე ხტება*). ჩემი განსვენებული თავის ძებნა დავიწყე და ამ დროს ისევ დავინახე, შავებში ჩაცმული ჩემი დაღუპული ნაზიბროლა, თურმე, აქვე იჯდა და მელოდა. ახლა აღარ შემშინებია, კარგად დავაკვირდი და მომეჩვენა, რომ ნაწყენი ჩანდა. დიდხანს ვუყურებდი. (*მაგიდიდან ჩამოხტება*).

მერე, ეს სკამები აიღო და მაგიდის გარშემო დააწყო, გარედან რომ არ გამოჩენილიყო, ისე... შემთხვევით, ვითომ ვინმემ არ დაინახოსო, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ახლაც იქ ზის, აი გაჩვენებ, აი შეხედეთ, კარგად შეიხედეთ... (ბათუს და საფარ ბეგს ხელს ჩაკიდებს და ძალით მაგიდასთან მიჰყავს). ხედავთ, ხედავთ?! (სხვა ინტონაციით). მკვდარია, ნეტავ? (მაგიდის ქვეშ იყურება). ნაზიბროლა... ბროლა... გამოდი, სად ხარ? მოდი, ჩემი ქმარი გაგაცნო... (ბათუს). ეგ იყო და ეგ... (საფარ ბეგს). მაგრამ ახლა, ეტყობა, არ მენახება, მიფრთხის... (ორივეს მიმართავს). ან თქვენი ემინია! (მონოლოგის ბოლოს, მაგიდაზე დალაგებული საგნებითა და გარშემო შემოწყობილი სკამებით ჰანაშვილის რიტუალი უნდა მოგვაგონდეს).

ბათუ

ნაზიბროლა, არ დაიწყო...

ნაზიბროლა

ფეხქვეშ მიწა გამომეცალა... (ბათუს). შენ რა დაგემართებოდა? წარმოიდგინე, როდესაც ახალგაზრდა ვიყავი, ასე უცაბედად, ასე უშნოდ მოვკვდი და მთელი დარჩენილი ცხოვრება სასაფლაოზე ვიარე, საკუთარი თავის საფლავს ვუვლიდი.

ბათუ

(ნაზიბროლას). არ გინდა...

ნაზიბროლა

(ბათუსთან მიირბენს, ცდილობს მაგიდისკენ მოაბრუნოს). ნაზიბროლამ მითხრა, რომ ყოველ დღე ეკლესიაში უნდა მევლო. ადრე, ეკლესიებს იქ აშენებდნენ, სადაც სასაფლაო უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ჯერ ეკლესიის ადგილს პოულობდნენ და მერე მარხავდნენ მკვდრებს, თურმე. ნაზიბროლამ მითხრა კიდევ რაღაც, მაგრამ აღარ ვუსმენდი, ჩემს უსულო თავს ვესალმებოდი და ხელახლა ვიცნობდი.

ბათუ

(ნაზიბროლას). ნუ მიკეთებ ამას...

ნაზიბროლა

(საფარ ბეგს). ესე იგი, ვისაც ჩემი გული მივეცი, ის მოკვდა და ისე გამოვიდა, რომ ეს გული, ჩემი გული, საფლავში გავატანე და მე კიდევ, გავხდი უგულო, უსიყვარულო. და ამან შემამინა, ამის გამო საფლავიდან გამოვიქეცი და ეს ვერ მაპატია, ეს ეწყინა. (ბათუს მოეხვევა).

ბათუ

(ნაზიბროლას მკლავებისაგან გათავისუფლება უნდა). ახლა, ამის დრო არ არის!

ნაზიბროლა

(ბათუს). შენ არ იცი, როგორია ყოველ დღე სანთელს უნთებდე, როგორია პარაკლისს უხდიდე, როგორია საკუთარ თავს გარდაცვლილთა ლოცვებში მოიხსენიებდე, როგორია, სასაფლაოზე დადიოდე?! (ბათუს მუცელში მუშტს ურტყამს. სხვა ინტონაციით). შენ არ იცი, როგორია უგულოდ ცხოვრება! გამოდი, ნაზიბროლა, ნუ მემალეები, შევრიგდეთ...

ბათუ

(ტკივილისგან ჩაიკეცება, სწრაფად ცდილობს წამოდგეს). ბროლა, არ გინდა, არ გინდა ახლა ეგეთები, დამშვიდდი. (ნაზიბროლას მხარზე ხელს მოხვევს, იჭერს).

ნაზიბროლა

(ხელიდან უსხლტება). მითხარი, როგორ მოვიქცე, ეს ტკივილი რომ გამიადვილდეს? (გულზე ხელს იღებს. წარმოსახულ კუბოს მიმართავს). აქ ხომ არაფერია... გულიც ატარ მაქვს, ნუ მემალეები, ნუ მიბრაზდები, მაპატიე, რომ გავიქეცი. შემეშინდა და იმიტომ, მაპატიე.

ბათუ

(ნაზიბროლას მკლავებში მოიძწყვდევს). საფარ, მომიტანე, ჩქარა მომიტანე წამალი, მანდ უნდა იყოს, სამზარეულოში, პირველივე უჯრაში, ჩქარა, ნემსიც მანდ არის, ჩქარა!

ნაზიბროლა

ხომ გითხარი, რომ ტრაგედიის სანახავად თეატრში წასვლა საჭირო არ არის-მეთქი?

(ბათუს უხეშად კრავს ხელს. ბათუ ძირს ეცემა. ბათუს და ნაზიბროლას დიალოგი - ორ სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ერთდროული საუბარია. საუბრობენ მაღალ რეესტრში. ეს უფრო ერთი კაცის მონოლოგს ჰგავს, კერძოდ ნაზიბროლას მონოლოგს, ბათუ კი, უბრალოდ ამშვიდებს).

ბათუ

(სწრაფად დგება. საფარ ბეგს). რას მიყურებ, პირველ უჯრაშია, იქ ღვეს, მალე!

(საფარ ბეგი სამზარეულოში ნაბიჯით გადის. უჯრებს აღებს, წამალს ეძებს).

ნაზიბროლა

ხომ გითხარი?

ბათუ

(ნაზიბროლასკენ მიდის). ახლა ომი არ არის, არავინ გესვრის, შენ გზის პირას არ წევხარ... შენ არავინ გიყურებს, შენ არავის ეცოდები, შენ აქ ხარ, სახლში, ჩემთან... შენ მარტო არ ხარ... მე შენთან ვარ... არავინ არ გკლავს, არავინ არ დაგმარხავს, შენ საფლავი არ გაქვს, შენ ცოცხალი ხარ, შენ ცოცხალი ხარ, შენი ორეული არ არსებობს...

ნაზიბროლა

(ბათუს). ჩქარობდა, გესმის, ჩქარობდა ხალხი სიკვდილს, იმიტომ, რომ იცოდნენ, რომ თუ მშვიდობა იყო, მელე მოკვდებოდნენ და თუ ომიანობა - დიდხანს იცოცხლებდნენ, თუ მშვიდობა იყო, დრო მალე გავიდოდა და თუ ომიანობა ნელა, თუ მშვიდობა იყო, შეცდომებს დაუშვებდნენ და თუ ომიანობა მაშინ, ყველაფერს დააღაგებდნენ, თუ მშვიდობა იყო, ბევრი სასაფლაო

დასჭირდებოდათ და თუ ომი იყო, არც ერთი, იმიტომ, რომ სასაფლაო წესია, წესებს კიდევ შესრულება უნდა და თუ არ შეასრულებ წესს, მაშინ წესი გახდება შენ და ვერავის დაემალეები, იმიტომ, რომ მშვილობას უწესობა უნდა და ომს წესრიგი...

ბათუ

(ნაზიბროლას დაიჭერს, გულში იკრავს). არ გინდა, არ გინდა, გაჩუმდი... მოიშორე ეგ, დაანებე თავი, არ გინდა, აღარ ახსენო...

ნაზიბროლა

როგორია, როდესაც ცოცხალი ხარ და ბოლოს მაინც სასაფლაოზე მიდიხარ?

ბათუ

ბროლა, ნუ ფიქრობ მაგაზე... ექიმმა გვითხრა, რომ წარსულს თავი დაანებო, ექიმმა ხომ გვითხრა, რომ ომს თავი დაანებო, ომი მორჩა, დამთავრდა, ომი მოიგონეს, გახსოვს, გვითხრა... ხომ გახსოვს... შენც დაეთანხმე, შენც დაუჯერე... *(საფარ ბეგს).* რა ვერ იპოვე?! პირველ უჯრაშია, მოიტანე, დროზე!

(საფარ ბეგს ხელში ნემსი და წამალი უჭირავს. მისვლას არ ჩქარობს).

ბათუ

(საფარ ბეგს). მომიტანე, ჩქარა...

ნაზიბროლა

(ბათუს). გამოდი ნაზიბროლა, რატომ იმალები?

ბათუ

(ნაზიბროლას). არ გინდა... არ დაიწყო... ყველაფერს მოვაგვარებთ... არაფერს დაგიშავებ... ხელს არ გახლებ...

ნაზიბროლა

(ბათუს). აბა, სად ხარ? სად ხარ, ნეტა?

ბათუ

(საფარ ბეგს ხელით ანიშნებს, რომ წამალი მოაწოდოს. ნაზიბროლას მიმართავს). აქ არავინ არის, შენ ხარ მარტო, არ არის სხვა ნაზიბროლა... მარტო შენ ხარ... მე და შენ... ნუ ნერვიულობ...

(საფარ ბეგი წამლების მიწოდებას არ ჩქარობს).

ნაზიბროლა

გამოდი! გამოდი მკვდარო ნაზიბროლა! გამოდი, სანამ მოვალ და ჩემი ხელით გამოგიყვან!
(ადგილიდან მოწყდება, სირბილით კედლისკენ მირბის და კედელს თავით ეჯახება).

ბათუ

(შეჩერებას ვერ ასწრებს). არ გინდა!

(ნაზიბროლა ეცემა. ბათუ მასთან მიირბენს, თავს დაუჭერს, მოეხვევა).

ბათუ

დამშვიდდი, დამშვიდდი... ჩვენ ვართ მარტო... სხვა არავინაა, ჩვენს შორის... შენ არაფერ შუაში ხარ... შენ დამნაშავე არ ხარ... შენ ჩემი ბროლა ხარ, მარტო ჩემი ბროლა ხარ...

(ბათუ საფარ ბეგს გახედავს. იგი ნემსით და წამლით დგას. ერთმანეთს უყურებენ. საფარ ბეგი ნელი ნაბიჯით გასასვლელისკენ მიდის. გასასვლელისკენ, რომლის კარი კვლავ ღიაა. ნაზიბროლა წამოდგომას ცდილობს).

ბათუ

(ნაზიბროლას). ყველაფერს გაპატიებ, მე შენ მიყვარხარ... დამშვიდდი, მე შენ მიყვარხარ... დავივიწყოთ ყველაფერი... მე შენ მიყვარხარ... ვითომ არც მომხდარა... მხოლოდ ჩვენ ვართ, მე და შენ...

(ნაზიბროლა ბათუს მკლავებისაგან გათავისუფლებას ცდილობს. ნელა დგება, შუბლიდან სისხლი სდის).

ბათუ

(საფარ ბეგზე ანიშნებს). პირობას გაძლევ, ამას არაფერს დაუშავებ... არაფერს ვავნებ... ცოცხალს გავუშვებ... პირობას გაძლევ...

(ნაზიბროლა უკან იხევს. მაგიდიდან ღვინის ბოთლს იღებს და მაგიდას ურტყამს. ბოთლის გატევა უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს. ბათუ ბოთლის წართმევას ცდილობს. ბოლოს წართმევს. ცდილობს მოეხვიოს და დაამშვიდოს. ნაზიბროლა ხელით ანიშნებს, რომ გაჩერდეს. ბათუ ჩერდება. საფარ ბეგი ნემსით ხელში ღია კარში დგას).

ნაზიბროლა

მიწა შემჭამს... ოცდახუთ წელიწადში მიწა შემჭამს! (მტრულად კედელს უყურებს).

საფარ ბეგი

(ნაზიბროლას განზრახვის შემხედველი). ბროლა, არ ქნა ეგ!

(ნაზიბროლა ადგილიდან სწრაფად მოწყდება და ის-ისაა კედელს უნდა დაეჯახოს, საფარ ბეგი წინ აღუდგება და ნაზიბროლა საფარ ბეგს ეჯახება. ორივენი ეცემიან. ბათუ მათთან მიიბრუნს, ნემსს და წამალს საფარ ბეგს ხელიდან ართმევს, სწრაფად ხსნის და მართავს).

ნაზიბროლა

(ორი მამაკაცის მკლავებშია მომწყვდეული). ეს ერთი დიდი სასაფლაოა, ნაზიბროლა, ეს ყველაფერი, ერთ დიდი სასაფლაო და შენ მაგას დედამიწას ეძახი.

ბათუ

(ნაზიბროლას ნემსს მკლავში უკეთებს. საფარ ბეგს). დაიჭირე, დაიჭირე არ გაუშვა!

საფარ ბეგი

მიჭირავს!

ნაზიბროლა

(თავის დაღწევა უნდა). ჩემი თავი იქ წევს, სასაფლაოზე, სადაც ეკლესიებს აშენებდნენ. ჩემი გული იქ არის დამარხული, ყოველ დღე მივდივარ, საფლავს ვასუფთავებ. ეს ერთი დიდი სასაფლაოა, დედამიწა დაარქვეს, ორი ფიცრისგან შეკრული ჯვარი... ორ გზას უჩვენებს... ერთი გზა სამოთხეში მიდის, მეორე ჯოჯოხეთში... ორი ფიცარი, მიწის, ცის... ჩემი ფიცარი... (ნელ-ნელა მისი ხმა სუსტდება).

(სიჩუმეა. სამივენი ძირს სხედან. ნაზიბროლა საფარ ბეგის მკლავებში განისვენებს. ბათუ მათ გვერდით ზის. სიჩუმეა. დიდხანს გრძელდება ეს სიჩუმე. შემდეგ, ბათუ დგება. ოთახის ბოლოში გადადის. მათ უყურებს. საფარ ბეგსაც უნდა ადგეს, მაგრამ ნაზიბროლა მასზეა ჩაბლაუჭებული და არ უშვებს. ასე ზის საფარ ბეგი და მას წამალ ნამოქმედარი ნაზიბროლა აწევს. დროდადრო ნაზიბროლა გაურკვეველ ფრაზებს წამოიძახებს ხოლმე.

კარი კვლავ ღიაა. იქიდან წვიმის და ქარის ხმა შემოდის).

ბათუ

გეგონა, აღარ დავბრუნდებოდი?

საფარ ბეგი

მარტო რატომ წახვედი?

ბათუ

(ნერვიულად ხმაძალდა გადაიხარხარებს. სიცილს სწრაფად წყვეტს. სხვა ინტონაციით). საიდან გაიგო, მანქანა რომ უნდა წამომეყვანა, ვინ უთხრა?

საფარ ბეგი

მეც ხომ მოვლიოდი!

ბათუ

მოსაკლავად გამიმეტე, ხო?

(საფარ ბეგი არ უპასუხებს).

ბათუ

ბროლას გამო?

(საფარ ბეგი არ უპასუხებს).

ბათუ

გამწირე საფო? ჩემი თავი ქუჩის ძაღლივით ჩემს მტრებს მიუგდე? რატომ საფო, რას მერჩი, რა დაგიშავე ასეთი? გეგონა, ჩემს ცოლს წაიყვანდი, ჩემს სახლში იცხოვრებდი, გეგონა, ქერის ორმოში ჩავარდი, საფო? მოუვლიდი ამას? *(ნაზიბროლაზე მიუთითებს)*. იქნებოდი ყურადღებიანი, ყველა დავალებას შეასრულებდი, მოჩვენებებს დაუჭერდი, ბოღვებს მოისმენდი, დეპრესიას გაუძლებდი, გადამალავდი ყველა სასმელს, წამალს, დანას, ჩანგალს, მაკრატელს, სამართებელს, გადამალავდი? ჰა, საფო, აიტანდი ამის ისტერიკას, გაუთენებდი ღამეებს, ატარებდი ექიმებთან, მოსცილდებოდი ქალაქს, გადმოხვიდოდი აქ საცხოვრებლად, გაძლებდი ამ სიწყნარეში, ჰა, საფო? ამ ყველაფრისთვის არ დაინდვე შენი ძუძუმტე? ერთი წელია კარგად არის, წელი გავიდა... მთელი წელია ფხიზლად არის... მომავალს ვგეგმავდით... შვილზე ვფიქრობდით... ეს გინდოდა, საფო? ეს?! შეხედე ამას... ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ... ერთხელ უკვე მოეშალა... ახლა, ეს ორსულობას გაუძლებს?

საფარ ბეგი

რატომ არ მითხარი?

ბათუ

რას იზამდი, შენი ხელით მომკლავდი?

საფარ ბეგი

არ ვიცოდი... არ წავიდოდი, მაშინ...

ბათუ

სად არ წახვიდლოდი?

საფარ ბეგი

ამიტომ შემიძულა? მითხარი... ბროლას ეგონა, რომ ბავშვის გამო გავიქეცი?

ბათუ

რა ეგონა ბროლას?

საფარ ბეგი

ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი.

ბათუ

ვის თქვენ?

საფარ ბეგი

მე მეგონა იცოდი...

ბათუ

რა უნდა მცოდნოდა? ბროლა ყველა ბიჭს უყვარდა... ყველას მოსწონდა... ბროლას... ბროლასაც უყვარდი... თქვი? *(საფართან ახლოს მიდის, ძალით წამოაყენებს)*. თქვი? მომესმა? ერთმანეთი გიყვარდათ?

საფარ ბეგი

ახლა გაიგე?

ბათუ

(პაუზის შემდეგ). ჩემი მოკვლა გინდოდა?

საფარ ბეგი

მესროლე, თუ გაქვს თავი!

ბათუ

მშიშარა ყოფილხარ და არაკაცი...

საფარ ბეგი

სხვა დროს, ამ სიტყვებს არ გაპატიებდი...

ბათუ

მეტი გითხრა?

საფარ ბეგი

(ანიშნებს, რომ ხელში იარაღი უჭირავს) ...და მაგინებ? რაზე უნდა გელაპარაკო?

(ბათუ იარაღს გაუწვდის. საფარ ბეგი არ ართმევს. ბათუ ხელში იარაღს უდებს, საფარ ბეგი არ ართმევს, ხელს არიდებს, ბათუ ხელს დაუჭერს და იარაღს ძალით ჩაუდებს. ახლა იარაღი საფარ ბეგის ხელშია. ბათუ ნაზიბროლასთან მიდის, წამოსწევს. მაგიდაზე დააწვენს).

საფარ ბეგი

(იარაღით ხელში). წყნარი ცხოვრება მოგინდა? დაიღალე ამ გარჩევებით, ამ „მიწოლებით“, ამ „გამოწოლებით“, ამ „კაი ბიჭობით“, ამ „გაგებებით“... ეს წილი იმისია, ეს ამისია, ეს დათმე, ეს გამოართვი, ეს „გადააგდე“, ეს „გადმოაგდე“, ამას პატივი ეცი, ის დაჩაგრე, ეს გააფრთხილე, ამას დაუმაღლე, ის გამოაგდე, ამას წაართვი, იმას მიეცი, ამას გამოართვი, იმას გადაუხადე, ეს „კაი ბიჭია“, ის იმის ბიძაშვილია, ეს ამის საცოლეა, ის იმის მამიდაა, ის ამის ბიძაა, ეს ისაა, ის ესაა... ამოგივიდა ყელში ბათუ? დაიღალე?

ბათუ

ჰა, მესვრი, თუ არა? რას ელოდები? (საფარს უყურებს. ჰაუზის შემდეგ). კაი კაცის სახელი გინდა დაგრჩეს? ნაზიბროლა რო გაიგებს ქმარი რომ მოუკალი, ამას თუ გაპატიებს? კიდეც ეყვარები, მერე?

საფარ ბეგი

მარტო შენ უნდა იყო კაცი?! სულ კაი კაცი უნდა იყო? მთელი ცხოვრება კარგი კაცის სახელი უნდა გქონდეს? მთელი ცხოვრება ასე ცხოვრობ, სულ კარგი ხარ. ბათუს მიბაძე, ბათუ ჭკვიანია, ბათუ წესიერია, ბათუ რასაც გეტყვის დაუჯერე, ბათუ გჯობია, ბათუ უკეთ აკეთებს, ბათუ ის, ბათუ ეს! ვინ ხარ ბოლოს და ბოლოს? ვინ გამოხვედი? ერთი „ავტორიტეტი“, ვისაც ცოლი გაუბახეს! ახლა განახებ, ვინ არის კარგი კაცი!

(ვისტოლუტის ლულას ჰირში იღებს და ის-ისაა ჩახმანს თითი უნდა გამოჰკრას, რომ ბათუ საფართან მიირბენს. გასროლაში ხელი უნდა შეუშალოს. საფარ ბეგი ცდილობს ლულა სახესთან მიიღოს და ისროლოს, ბათუ კი, ხელს უშლის. ჩხუბის დროს ძირს ეცემიან, ძიძგილაობაში იარაღი შემთხვევით ვარდება. ორივენი ჩერდებიან. გასროლის ხმაზე ნაზიბროლა წამოდგება. სიჩუმეა. ბათუ და საფარ ბეგი გაუნძრევლად წვანან. ნაზიბროლა დგება, ნელი ნაბიჯით ბათუსთან მიდის და წამოდგომაში ეხმარება. ნაზიბროლა მუუღლეს ეხუტება. საფარ ბეგიც ნელა დგება).

ბათუ

(საფარ ბეგს მიმართავს). გარეთ დგას მანქანა, მოგიყვანე... (ნაზიბროლას ეფერება). მაგ მანქანით ჰაჯი უსუფთან წახვალ, ამ იარაღს მიუტან და ყველაფერს მოუყვები... აქ თავს არ მოგაკვლევინებ. ჩვენი წარსული ძმობის ხათრით, შენი მშობლების სიყვარულის ხათრით, შენი დედმამიშვილების ხათრით, ცოდვას არ ვიღებ, არ გკლავ და გაპატიებ. მადლობა?

საფარ ბეგი

(იარაღს იღებს, უყურებს). მადლობა...

ბათუ

არ მესმის!

საფარ ბეგი

(იარაღს ქამარში იკეთებს). მადლობა!

ბათუ

ხმამაღლა!

საფარ ბეგი

(ყვირილით). მადლობა!

(საფარ ბეგი გადის. შუშოსასვლელ კარს კეტავს. ოთახში ბათუ და ნაზიბროლა რჩებიან).

მეშვიდე სურათი

ჰაჯი უსუფი, საფარ ბეგი, ცხენი

ეკლესიის ეზოს წინ ჰაჯი უსუფი შესასვლელ ჭიშკარს ანგრევს. ფიცრებს უხეშად აძრობს და უწესრიგოდ ყრის. შეშინებული ცხენი ხან ერთ კუთხეს ეცემა, ხან მეორეს.

შემოდის საფარ ბეგი და ჰაჯი უსუფის წინ მუხლებზე ეცემა.

ჰაჯი უსუფი

წასული იყავი...

საფარ ბეგი

შენს ხელში ვარ, გამზრდელიო... შენ მითხარი, რა გავაკეთო?

ჰაჯი უსუფი

სულ ხუმრობ და ხუმრობ?

საფარ ბეგი

არ დაგიჯერე, არ უნდა წავსულიყავი!

ჰაჯი უსუფი

ოჯახს ეხმარებოდი, ფულს აგზავნი...

საფარ ბეგი

შვილი უნდა მყოლოდა, თურმე... რა ვიცოდი...

ჰაჯი უსუფი

სამაგიეროდ, შენ და-ძმას აღარ შია და აღარ სწყურია...

საფარ ბეგი

ბათუმ ძალით მოიყვანა ცოლად, ძალით წამართვა ნაზიბროლა... ჯინაზე, მე რომ გავემწარებინე... ახლა მეუბნება, არ ვიცოდიო... არ მჯერა, მაგის, არც ერთი სიტყვის არ მჯერა! რატომ წამართვა ქალი? არ იცოდა, ერთმანეთი რომ გვიყვარდა?! არ იცოდა, მიჯნურები რომ ვიყავით?!

ჰაჯი უსუფი

სკოლას ამთავრებენ, უკვე... მზის ჩასვლასთან ერთად აღარ იძინებენ... მზესთან ერთად აღარ იღვიძებენ...

საფარ ბეგი

შურისძიება მინდოდა, გავმწარდი... ბათუს მოვაკვლევინებ და ნაზიბროლა ჩემი იქნება-თქო.

ჰაჯი უსუფი

ნათხოვარი ტანსაცმლით აღარ დადიან... გარეთ გამოსვლის აღარ რცხვენიათ... მომავალს ნათელი თვალით უყურებენ...

საფარ ბეგი

(ჰაჯი უსუფს აკვირდება. მის მშვიდ რეაქციას არ მოელოდა. ჰაუზის შემდეგ). მივედი, სახლში მივედი მაგათთან... ბათუს დახმარება ვთხოვე... ალმასხიტის მანქანა უნდა წამოეყვანა, ალმასხიტი გავაფრთხილე, მოვა და მანქანას მოგპარავს-თქო... მეგონა, მოკლავდა, აღარ დაბრუნდებოდა. რა ჩემი ბრალია, ცოცხალი რომ დაბრუნდა, რა ვიცოდი, ალმასხიტს რომ მოკლავდა?

(ცხენი ჰაჯი უსუფის ზურგს ამოეფარება. ორივენი საფარ ბეგს დიდხანს უყურებენ).

ჰაჯი უსუფი

(ცხენს მიმართავს). სამაგიეროდ, სახლში სითბოა აქვთ, შუქი უნთიათ, საჭმელი და სასმელი აქვთ...

საფარ ბეგი

მაგრამ, ბათუ სახლში რომ დაბრუნდა... მე და ნაზიბროლა ერთად ვიწექით... *(ჰაუზის შემდეგ, სწრაფად).* ვუთხარი, მომკალი, ნუღარ მაცოცხლებ-მეთქი... ვუთხარი, ნაზიბროლას გარეშე, არ მიღირს სიცოცხლე-თქო, არ მინდა-თქო... *(ჩერდება, სულს მოითქვამს).*

(შორს ისმის ჭურვის აფეთქების ხმა. ცხენი ადგილიდან მოწყდება და სამრეკლოში შერბის).

ჰაჯი უსუფი

რომ გაიგო, რა თქვა ბათუმ?

საფარ ბეგი

ნაზიბროლას აღარ ვუყვარვარ...

(ცხენი სამრეკლოზე დგას. ჰორიზონტს ათვალთქვებს. კიდევ ერთი ჭურვის აფეთქების ხმა ისმის).

ჰაჯი უსუფი

შენ სიკვდილის ღირსიც არ ყოფილხარ.

საფარ ბეგი

აი, ეს იარაღი მომცა და მითხრა, შენთან მოვსულიყავი. *(იარაღს აწვდის).* ჩემი ძუძუმტე ხარ, მე ვერ მოგკლავო... მოვეკალი, მაინც... რატომ არ მომკლა? მაგისტვის კაცის მოკვლა არაფერია, მაგრამ, მე არ მომკლა... მერე რა, რომ ძუძუმტე ვარ?

(ცხენი ზარს ჩამოკრავს).

ჰაჯი უსუფი

(იარაღს გამოართმევს. ათვალიერებს). ომი დაიწყო?

(შორს, კვლავ ისმის ჭურვის აფეთქების ხმა. ცხენი ზარს ჩამოკრავს).

ცხენი

(სამრეკლოდან). ორმო ამოთხარეთ, ვისაც ჯერ არ ამოგითხრიათ, მოკვდით, ვინც ჯერ ცოცხალი ხართ, დაიმარხეთ, ვინც ჯერ არ დამარხულხართ, დაიტირეთ, ვინც ჯერ არ დაგიტირიათ, იმიტომ, რომ მოდის „დიდი კაცი“ და თუ სიცოცხლის არ გეშინიათ, ძვლები დათვალეთ და ფარად დაუდექით თქვენს სახლებს, ქალებს, ბავშვებს, ქვეყანას... მოდიან... მოდიან... არ შეგეშინდეთ, ოცდახუთ წელიწადში მაინც მიწად იქცევით...

ჰაჯი უსუფი

მე ვყოფივარ მოსაკლავი!

საფარ ბეგი

შენი ხელით მივიღებ სიკვდილს. (მუხლებზე დაეცემა და მკერდს მიუშვერს).

(ჰაჯი უსუფი იარაღს გულთან მიიღებს და ისვრის. მკვდარი ძირს ეცემა. ზარის ხმა არ წყდება. სცენაზე შემორბიან ბათუ და ნაზიბროლა, აღმასხიტის ქვრივი ზია გოგო, ბაღმარან მართა და ეკლესიის მშენებლები. მკვდარი ჰაჯი უსუფის გარშემო იკრიბებიან. ცხენი კი, ზარს რეკავს და სამრეკლოდან ყვირის).

ცხენი

ვისაც ჯერ არ ამოგითხრიათ, ორმო ამოთხარეთ... ვინც ჯერ ცოცხალი ხართ, მოკვდით... ვინც ჯერ არ დამარხულხართ, დაიმარხეთ... ვინც ჯერ არ დაგიტირიათ, დაიტირეთ... „დიდი კაცი“ მოდის და ფარად დაუდექით ქვეყანას, ბავშვებს, ქალებს, სახლებს... ძვლები დათვალეთ, თუ სიცოცხლის არ გეშინიათ... მოდიან... მოდიან... ოცდახუთ წელიწადში მაინც მიწად იქცევით...

(ჭურვების აფეთქების ხმა უფრო ახლოდან ისმის. თავზე ავია გამანადგურებლები გადაიფრენენ. ომი იწყება. ცხენი გამალებით რეკავს ზარს).

ეპილოგი

ცხენი, ჰაჯი უსუფი

სცენაზე ცხენი შემორბის. უკან-უკან იყურება. ეტყობა, ბევრი ირბინა. სუნთქვა უჭირს. ზურგით გარდაცვლილი ჰაჯი უსუფი მოჰყავს.

ცხენი

მტერმა უკვე საზღვარი გადმოლახა... აირია ხალხი... მე გადავრჩი, მგონი... (ცხედარს გადმოასვენებს, მიწაზე დააწვენს). არ არის ურიგო ადგილი, მთავარია მოვასწროთ... უნდა მოვასწროთ... (უნაგირიდან სამგზავრო ნიჩაბს იღებს და საფლავის გათხრას იწყებს). ეგონა, ომს მოატყუებდა, დასწრება უნდოდა... აი, თურმე, რატომ ჩქარობდა სიკვდილს. იცოდა, მშვილობა მალე დამთავრდებოდა... თორემ, ომის ტყვია მუხთალია, სად დაგეწევა, კაცმა არ იცის. მოგკლავს და იწვები მერე დაუმარხავი, ნადირის საჯიჯგნად გამზადებული. ტფუ... გაფიქრებაც მზარავს. (თხრას განაგრძობს). აბა, ომის დროს, ვის სცალია დასამარხად? სიცოცხლის ბოლოს ერთი ოცნება ჰქონდა... ადამიანით დამარხულიყო... დატირულიყო. ჩქარობდა, ჩქარობდა... მშვილობაში დრო მალე გადისო, ომში დრო არ გადისო... დამარხვა რიტუალიაო, წესიაო... ამ წესს აღსრულება უნდაო... გზის დასაწყისიაო... ასე ამბობდა...იქ უნდოდა დამარხვა, მაგრამ ე-ე! როგორც ცხადში ვარ წინამძღოლიო, ისე, იმ ქვეყნად, პირველი უნდა მივიდეთო... ჩქარობდა, ჩქარობდა... მე რა ამბებიც აქ მოვისმინე და რაც ვნახე... იჩქარებდა, აბა რას იზამდა? (თხრას მორჩება, ცხედარს შიგნით ჩააწვენს. საფლავს თავზე ადგას). ცხენი არ ვიყო, წავიკითხავდი ლოცვას... (ნიჩაბს იღებს და საფლავს მიწას აყრის. საქმეს მორჩება. საფლავს მღუმაოდ უყურებს. შორს ისმის აფეთქებების ხმა). მტერი იმით არის კარგი, რომ საფლავს არ იპარავს. სულ რომ მდიდრული სასაფლაო იყოს და ძვირფასი ქვით მოპირკეთებული. აბა, რა ჯანდაბად უნდათ ქვა, გარშემო რამდენი უნიტაზია მოსაპარი... რაღაც გაგებით, ომის დროს თუ მოგკლეს, მერე, მთავარი საზრუნავი დამარხვა გრჩება, თუ არ დაიმარხე, სიკვდილიც აღარ არის ისეთი, საინტერესო... (ავანსცენაზე გამოდის). წერილი მაქვს... ცხელი წერილი... (უნაგირიდან კონვერტს იღებს). ერთ კაცს უნდა გადავცე... ეს კაცი უნდა მოვძებნო... მაგის არც სახელი ვიცი, არც გვარი... (საფლავზე მიუთითებს). მაგრამ, ვინც ეს წერილი გადმომცა, მითხრა, თვითონ მოგძებნისო... ამ წერილში არ ვიცი რა წერია... დამავალა, აქ უნდა ჩამომეტანა... (ჭურვის აფეთქების ხმა ისმის). მეც არ მომკლან, მეშინია... (კონვერტს ათვალთქვებს). ვიცი, სხვისი წერილის კითხვა, არ არის საკადრისი საქციელი, მაგრამ, ისეთი დროა, ახლა „საკადრისობა“ და უკადრისობა გვერდზე უნდა გადავდო... წავიკითხავ! იქნებ, მივაგნო იმ ადამიანს და ამოვიცნო..? აბა, მართლა თვითონ ხომ არ მიპოვის? (კონვერტს დიდხანს უყურებს, ვერ გადაუწყვეტია, გახსნას თუ არა. ბოლოს, კონვერტიდან წერილს ამოიღებს.

ამასობაში, სცენის სიღრმეში უცხო კაცი გამოჩნდება. ეს ჰაჯი უსუფია. მას ხელში ვაზის რქა უჭირავს, მიწაზე აქვს მიშვრილი. ნელი ნაბიჯით ცხენისკენ მიდის. მის სიტყვებს თუ დაუუჯერებთ, „ჯვართკვეთას“ ეძებს).

ცხენი

(ვერ ამჩნევს ჰაჯი უსუფს. კითხულობს). „ადამიანებს ერთმანეთი სძულთ“. (ხელახლა კითხულობს). „ადამიანებს ერთმანეთი სძულთ“.

(ჰაჯი უსუფი ცხენს თავზე წამოადგება. ცხენი შიშისგან დაიჭიხვინებს. წერილი უვარდება. ჰაჯი უსუფი ძებნას შეაჩერებს, ცხენს მკაცრი მზერით უყურებს. ცხენი წერილს იღებს და ჰაჯი უსუფს აწვდის. ჰაჯი უსუფი წერილს თვალს გადაავლებს, ჯიბეში ინახავს.

მორს, სცენის სიღრმეში დანგრეული ეკლესიის სილუეტი და სასაფლაო ამონათდება, სადაც ადამიანები საფლავებს თხრიან. ჰაჯი უსუფი ერთ ვაზის რქას ცხენს მისცემს, მეორეს კი, თავისთვის დაიტოვებს. ჰაჯი უსუფი ვაზის რქას კვლავ მიწას მიუშვერს და უმისამართოდ სიარულს იწყებს. ცხენი მას მიბაძავს. ორივენი ვაზის რქით ხელში „ჯვართკვეთას“ ეძებენ. უგზო უკვლოდ სცენაზე დადიან იმის იმედით, რომ ახალი ეკლესიისთვის ადგილს მონახავენ).